ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს და შაბათს

№33 (1543) 5–7 აპრილი, 1997 წელი

## გიორგაძე თეთრი ცხენით ფიქრობდა საქართველოში შემოსვლას

2

## ბარამიძე რჩეულიშვილს თავ-პირის დანაყვით დაემუქრა...

4

## შენ რა გაცინებს, შე უდღეურო?

3

## სააკაშვილს რევოლუციონერობა მოენატრა

4

## „პირველ“ თბილისელს კიდევ ერთხელ დაეთუთქებოდა გული... და ფრთები

3

## „დგას საქართველო ამორძალივით“

6

## წავასწარ თუ არა თქვენს უნამუსობასა?!.



## აფხაზეთიდან დევნილებს, გაზეთ „საქართველოს“ ყველა მკითხველს!

ძვირფასო მეგობრებო, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია გულწრფელ ბოდიშს გიხდით 1 აპრილს, სამშაბათის ნომერში გამოქვეყნებული საპირველაპრილო მასალის გამო, სადაც ეწერა, რომ ქართული ჯარი ენგურზე გადავიდა და უმსხვერპლოდ აიღო ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები. ამ წერილში სასურველი გამოცხადებული იყო რეალობად, თუმცა, ბოლოს მიხვდებოდა გონიერი მკითხველი, რომ იგი საპირველაპრილო გახლდათ. მაგრამ წერილის ჩაკითხვამდე, იმდენად დიდი იყო სიხარულის ელდა, რომ მისმა გაცურებამ მკითხველები ალაშფოთა ჩვენი მისამართით.

ვაღიარებ, რომ დავუშვით შეცდომა. მაგრამ ის, რაც ჩვენ გვეწერა, წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო რეალობად ექცია და ხალხი წამიერი კი არა, ნამდვილი ხანგრძლივი სიხარულის გრძნობით აღენთო.

სამწუხაროდ, ისინი თავისი გაწამებული მოსახლეობის წინაშე ბოდიშს არ იხდიან.

ჩვენ გიხდით ბოდიშს...

თქვენი სულგრძელობის იმედით

გაზეთ „საქართველოს“
რედაქცია

ქართველი

# ვინ ვინ არის

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემა[...]

# კახა თარგამაძე:

# გიორგაძე თეთრი ცხენით ფიქრობდა საქართველოში შემოსვლას

**საუბრობენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე**

**და გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი**



მინისტრი შვილთან ერთად

***ნ.გ.*** *– დიახ, იმას ყვებოდით, როგორ აიყვანეთ ყოფილი მინისტრი ხაჩიშვილი.*

**კ.თ.** – მანამდე ერთი მინდა გთხოვოთ, ბატონო ნოდარ, წინა პუბლიკაციაში გეწერათ, რომ მე იმ ოთახში და იმ სავარძელში ვზივარ, სადაც ხაჩიშვილი იჯდა, თქვენ, ალბათ, გამოგრჩათ, მე გიპასუხებთ, რომ იმ კაბინეტში კი, მაგრამ იმ სავარძელში არ ვზივარ, ხაჩიშვილს რომ ჰქონდა–მეთქი. ახლა კი ვაგრძელებ თხრობას.

ხაჩიშვილი საკუთარი მანქანით მოძრაობდა გიგა გელაშვილთან ერთად სანაპიროზე. სხვათა შორის, რაციით ოპერაციის ჩატარებას მე ვხელმძღვანელობდი. უკან მომყვებოდნენ ჩემი თანამშრომლები... იგი ტოვებდა ქალაქს, მას სულ სხვა ფუნქცია და ჩანაფიქრი ჰქონდა და ცოტა გართულებებისკენ აპირებდა საქმის წაყვანას.

ხაჩიშვილი იგივეს აპირებდა, რასაც გელაშვილი. მათ სურდათ თავიანთი ხალხის მობილიზების გამოცხადება და უკვე სერიოზული ბრძოლის დაწყება რესპუბლიკაში. მათ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ...

პრაქტიკულად დაკავების მომენტში ხაჩიშვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მან გადააგდო იარაღი და ხელებიც კი ასწია, გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინა პოლიციელების წინაშე.

რაც შეეხება სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელებს, მათი დაპატიმრება მოხდა საბურთალოზე, ნუცუბიძის პლატოზე, ერთ-ერთ ბინაში. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ, მაგრამ უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე ჩატარდა ღონისძიება. მათი მხრიდან წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი და, რა თქმა უნდა, ასეთ დროს ჩვენ გამოვიყენეთ ძალა. ძალის წინააღმდეგ ძალა უნდა გამოიყენოთ, ზუსტად ამიტომაც გვქვია ძალისმიერი სტრუქტურა. წინააღმდეგობის გაწევის დროს ჩვენ,

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №30,31,32



მინისტრი „მამის“ გვერდით

კანონის მიხედვით, გვაქვს უფლება ძალის გამოყენებისა. პრაქტიკულად ჩვენ ამ ჯგუფების დაპატიმრების დროს არათუ მსხვერპლი არ გვქონია, არამედ არც დაზიანებულა არც იქითა მხრიდან და არც აქეთა მხრიდან არავინ, უსისხლოდ ჩაიარა მთლიანმა ღონისძიებამ.

***ნ.გ.*** *– დაპატიმრების დროს მუქარა თუ იყო მათის მხრიდან?*

**კ.თ.** – დიდი წინააღმდეგობის გაწევას უკვე აზრი აღარ ჰქონდა...

***ნ.გ.*** *– გაქვთ თუ არა შიში იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს „მხედრიონი“ გარეთ რომ აღმოჩნდეს, რევანშზე იფიქრებენ?*

**კ.თ.** – საქმე იმაშია, რომ კაცს, რომელსაც გეშინია, ალბათ, ის ნაბიჯები არ უნდა გადადგა, რომლის გამოც შიშიფვეთებაში იქნები. საერთოდ კი უნდა გითხრათ, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ისინი გარეთ აღმოჩნდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღარ არსებობს. თუ ეს პიროვნებები გარეთ აღმოჩნდნენ, მაშინ დანგრეულა ეს სახელმწიფო. საერთოდ, კაცი როდესაც მიდიხარ ამ ნაბიჯებზე, წინასწარ უნდა გქონდეს გათვლილი რა საქმეზე მიდიხარ, რა საქმეს ემსახურები და რა საქმეს ჰკიდებ ხელს და იმას არ უნდა მოჰკიდო ხელი, რისი გაკეთებაც არ შეგიძლია. ერთი თხოვნა მაქვს, აილეთ 1995 წლის, როდესაც ეს დანაშაულები ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი, ჩემი ინტერვიუები და გადახედეთ. მე პირდაპირ ვამბობდი მაშინაც, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით. ჩვენ შეგნებულად გადავდგით ყველა ის ნაბიჯი, რაც გადავდგით. ჩვენ არ მოვითხოვთ რაღაც დიდებას, გმირობას, დაფასებას. მაგრამ ყოველ შემთხვევაში...

სხვათა შორის, ერთ-ერთი მომენტია, ბ-ნ ნოდარ, როდესაც ჩვენ ამ ნაბიჯების გადადგმაზე წავედით, მე შევკრიბე კოლექტივი, ის ბიჭები, რომლებსაც ეს საქმეები უნდა ეკეთებინათ და ვუთხარი; ვინც გრძნობს, რომ ამ საქმეს ვერ გააკეთებს, სჯობია, ის არ წამოვიდეს. ეს ჩვენში დარჩებოდა, ბევრს, ალბათ, შიშის გრძნობა ჰქონდა, ბევრმა, ალბათ, აუტკივარი თავი არ აიტკივა... ყველასგან ვერც მოითხოვ გმირობას. შორიდან კი ბევრი უყურებდა ამ საქმეს, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდებაო. საუბედუროდ, ასეთი სეირის მაყურებელი ხალხი საქართველოში ძალიან ბევრია დღესაც.

ჩემი ნატურა ასეთია, უკან არაფერზე არ დავიხევ თუ ვიცი, რომ სიმართლეს ვაკეთებ.

***ნ.გ.*** *– ბ-ნო კახა, ახლა ერთი კითხვა მინდა მოგცეთ, რომელზე პასუხიც, ჩემი აზრით, თქვენ გაგიჭირდებათ. საკითხი ეხება იგორ გიორგაძეს. ვიცი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრინციპში უფლება არ ჰქონდა უშიშროების მინისტრი დაეპატიმრებინა ან დაეკავებინა. გადაწყვეტილება იყო საჭირო, პოლიტიკური ნება იყო საჭირო. მინდა წინასწარ გითხრათ, რომ გიორგაძის პიროვნებისადმი სიმპატია არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ უნიჭო კაცი არ ჩანდა, არ მქონია იმიტომაც, რომ მან ერთხელ პარლამენტის სხდომაზე ისეთი მამალი ტყუილი იკადრა ზურაბ სამუშიასთან დაკავშირებით, გავოგნდი... მაგრამ არის ერთი მომენტი. მოხდა ტერაქტი. ამის შემდეგ გიორგაძე, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ თითქმის ორი კვირა საქართველოში იყო. მისთვის კაციშვილს ხმა არ გაუცია, მართავდა პრესკონფერენციებს. შემდეგ კი გავიგეთ, რომ გიორგაძე არის გაქცეული მოსკოვში და დავუწყეთ მას ძებნა. დავდეთ ბრალი და ა.შ. როგორ ეთავსება ეს ყველაფერი ერთმანეთს?*

**კ.თ.** – მოგახსენებთ.

ი.გიორგაძის ტერაქტში უშუალო მონაწილეობაზე ინფორმაცია არ გაგვაჩნდა, მაგრამ გარკვეული ეჭვი იყო. თუმცა ეს არ შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო იმისთვის, რომ ჩვენ დაგვეპატიმრებინა თუნდაც უკვე ყოფილი უშიშროების მინისტრი.

ახლა ვსვამ კითხვას – შეიძლებოდა თუ არა ის შინაპატიმრობაში ყოფილიყო. კაცს აპატიმრებენ და ხომ უნდა გქონდეს მასზე შესაბამისი მტკიცებულებები და უნდა გქონდეს ყველაფერი მოპოვებული. გიორგაძემ დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში დატოვა საქართველო, ზუსტად იმ დროს, როდესაც ჩვენ უკვე დავაპატიმრეთ გოგა გელაშვილი, ხაჩიშვილი. აი, მაშინ რამოდენიმე დღეში გავიდა საქართველოდან, რამეთუ მან უკვე იცოდა, ამხელდნენ კონკრეტულ დანაშაულში.

***ნ.გ.*** *– გელაშვილის აყვანიდან მესამე დღეს გავიდა?*

**კ.თ.** – მეორე დღეს გავიდა საქართველოდან.

***ნ.გ.*** *– მეთვალყურეობის ქვეშ რატომ არ გყავდათ?*

**კ.თ.** – მეთვალყურეობის ქვეშ? ეს უკვე იცით, რაშია საქმე? თუნდაც გვყოლოდა მეთვალყურეობის ქვეშ. გიორგაძე ტოვებდა საქართველოს, რას მოვიმოქმედებდით? მასზე დაპატიმრების სანქცია გაცემული არ იყო. მტკიცებულება მის ტერაქტში მონაწილეობაზე არ არსებობდა. მას ჩვეულებრივ, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, უფლება გააჩნდა იმისა, რომ ემოძრავა... საქმე რესპუბლიკის პროკურატურას ჰქონდა წარმოებაში და ჩვენ პრაქტიკულად არავითარი ნაბიჯის გადადგმა ერთმანეთის გარეშე არ შეგვეძლო. რა თქმა უნდა, ერთპიროვნულად უნდა გამერისკა და ეს ნაბიჯი გადამედგა. მაგრამ ჩვენ თუ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ დემოკრატია კანონის უზენაესობა არის და როდესაც პიროვნების მიმართ არ გაგაჩნია მტკიცებულება, იმ პიროვნებას ხელს ვერ მოკიდებს ვერც მინისტრი და ვერც სხვა რანგის პიროვნება. როდესაც უკვე მოვიპოვეთ მტკიცებულებები, მისი თანამშრომლები დავაპატიმრეთ, საუბედუროდ, ის უკვე მაშინ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იყო გასული და მასთან ერთად მისმა ორმა თანამშრომელმა მოახერხა მიმალვა. ამაზე მსჯელობა უკვე ფაქტის შემდგომ შედარებით ადვილია, ვიდრე იმ სიტუაციაში, რა სიტუაციაშიც ჩვენ ვიყავით და უფრო მეტიც, ბ-ნ ნოდარ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ სიტუაციას, რა სიტუაციაშიც ჩვენ ვიმყოფებოდით იმჟამად.

***ნ.გ.*** *– მე რამდენადაც ვიცი, გიორგაძე ღია წესით არ წასულა საქართველოდან.*

**კ.თ.** – რამდენადაც მეც ვიცი, ის ნამდვილად არ წასულა ღია წესით საქართველოდან. მან რუსეთის სამხედრო თვითმფრინავით დატოვა საქართველო. ამის შესახებ უკვე ითქვა, ეს არ არის საიდუმლო.

***ნ.გ.*** *– ტერაქტში იმდენად ბევრი პიროვნება ილებდა მონაწილეობას, გიორგაძე გიჟი უნდა ყოფილიყო, ამდენ ხალხს რომ გაენდო. ეს კითხვაც ხომ ჩნდება?*

**კ.თ.** – კი ბატონო, ამაზე გაგცემთ პასუხს, ისე, ბ-ნ ნოდარ, ეს იყო სერიოზულად დაგეგმილი ღონისძიება. სხვათა შორის, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რაღაცა მზადდებოდა, გვქონდა. ჩვენც ყველანაირად ვცდილობდით, რომ დაგვესწრო მოვლენებისთვის და საუბედუროდ, ასე არ მოხდა. გიორგაძე სრულებითაც არ იყო ის პიროვნება, რომ ვთქვათ, შემსრულებელ პირებთან ჰქონოდა კონტაქტი, მას ჰქონდა კონტაქტი სულ რამოდენიმე კაცთან, რომლებიც მისი ერთგულები იყვნენ და ფაქტიურად დღესაც მისივე ერთგულები არიან. ეს არის საკმაოდ მომზადებული ხალხი, საკმაოდ სერიოზული ხალხი, რომლებთანაც, რომ არ დაეჭირა გიორგაძეს კონტაქტი, შემდგომი სცენარი არ მოეწყობოდა, რაც მას ჰქონდა გათვლილი. აქ იყო მთელი გეგმა როგორ უნდა ემუშავათ, როგორ უნდა განეხორციელებინათ ყველაფერი ეს... უფრო მეტს გეტყვით, მე უფრო მეტიც ვიცი ამის შესახებ, რა უნდა გაკეთებულიყო, როგორ უნდა გაკეთებულიყო...

შემსრულებლებს დააპატიმრებდნენ, ხელმძღვანელები კი ლიკვიდირებული იქნებოდნენ. გიორგაძე მათ ამხელდა: აი, შემსრულებლები აქ არიან და ის პირები კი, ვინც მათ დაავალეს ტერაქტის მოწყობა შეტაკების დროს თუ რაღაც ასეთი მომენტის დროს, დაიღუპნენო. თვითონ კი თეთრი ცხენით ფიქრობდა საქართველოში შემოსვლას და ხელისუფლების ხელში აღებას. შესაძლებელია სცენარი ისე დადგმულიყო, რომ ყველაფერი განხორციელებულიყო მათ მიერ, მაგრამ მათ ერთი მომენტი ვერ გაითვალისწინეს, ისე არ იყო მთლად საქმე, როგორც ისინი ფიქრობდნენ. ფიქრობდნენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დემორალიზებულია და სხვა ძალა ამ დანაშაულის გახსნისა ვერ წარმოედგინათ. მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ განახორციელეს ის, რისი განხორციელებაც სურდათ, უფრო მეტიც, ღმერთმა დაგვიფარა იმისგან არა მარტო იმიტომ, რომ პრეზიდენტზე თავდასხმა განხორციელებულიყო, არამედ მთლიანად საქართველოსთვის...

მე უფრო მეტს გეტყვით, არავინ არ იყო პოზიციის დამთმობი, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რა თქმა უნდა, არ იყო პოზიციის დამთობი და შეიძლებოდა დაწყებულიყო რაღაც საშინელი ქუჩის ომი.

***ნ.გ.*** *– ჯაბა იოსელიანის როლზე რას იტყვით?*

**კ.თ.** – ერთ საოცარ სიუჟეტს მოგიყვებით და დანარჩენი წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ ჯავახიშვილი პარლამენტმა გაწირა ანუ სადაც ფულია, დაკა-დაკაც იქ მიდის...

ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი გავხდით: პარლამენტმა არ დაუჭირა მხარი ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში მისი ამჟამინდელი პრეზიდენტის, ნოდარ ჯავახიშვილის არჩევას. მის მომხრეებს არც განმეორებითმა კენჭისყრამ უშველა, რომელიც ჩვენის აზრით, არცთუ უსაფუძვლოდ საეჭვო საბაბით გახდა შესაძლებელი: თითქოსდა 4 დეპუტატის პულტი გაუმართავი იყო, ამ გარემოებამ ისე დაძაბა დარბაზში ვითარება, რომ პარლამენტის სხდომა თითქმის ახლახან ფილარმონიაში გამართულ „თბილისელთა" შეკრება-მიტინგს დაემსგავსა.

ნოდარ ჯავახიშვილის საკითხი აგერ უკვე მეორე წელია ღიადაა. ის იყო ერთადერთი სახელმწიფო თანამდებობის პირი, (თუ არ ჩავთვლით ახლავე დაუნიშნავ სახალხო დამცველს), რომელიც დროებით ასრულებდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას და არ იყო დამტკიცებული პარლამენტის მიერ.

თავდაპირველად, თუკი ნოდარ ჯავახიშვილი სარგებლობდა რეფორმატორის იმიჯით და მხარდაჭერაც ჰქონდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან, ბოლო წლებში ეს მხარდაჭერა შემოეფანტა და, ასე ვთქვათ, მისმა „აქციებმა მკვეთრი გაუფასურება" იწყო.

ერთის მხრივ, ამის მიზეზი იყო ის, რომ ოპონენტთა აზრით მან ვერ შეუწყო ხელი საქართველოში ერთიან საბანკო სისტემის ფორმირებას, საქართველოს რეგიონები ფაქტიურად საბანკო მომსახურების გარეშე დარჩნენ კომერციული ბანკების ხელოვნურად გაუქმების გამო, რამაც ქვეყანაში არსებული უზარმაზარი ფულადი მასა საბანკო არხებს გარეთ დატოვა, რამაც კრედიტების მნიშვნელოვანი გაძვირება გამოიწვია.

რაც შეეხება ლარის სტაბილურობას, იგი ძირითადად საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ფულად ინექციებზე იყო დამყარებული და ეროვნული ბანკის როლი საერთაშორისო ორგანიზაციების დანამატად იქნა წარმოჩენილი.

მისი კანდიდატურის ჩავარდნის მიზნად ასახელებენ აგრეთვე სხვადასხვა ჯგუფების ბრძოლას ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის სავარძლისათვის.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქვეყნის პრეზიდენტი წლების განმავლობაში გულგრილობას იჩენდა ნოდარ ჯავახიშვილისადმი. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მაინც გადაწყვიტა წარედგინა მისი კანდიდატურა ეროვნული ბანკის საბჭოში ასარჩევად.

თვით ის ფაქტი, რომ ეროვნული ბანკის საბჭო დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგინა არა პრეზიდენტმა, არამედ მისმა მრჩეველმა ჯონი ხეცურიანმა, ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებდა პრეზიდენტის დაინტერესებას საბჭოს შემადგენლობაში დასახელებული კანდიდატების უცილობელ გაყვანაში.

ჯავახიშვილს პარლამენტის სხდომაზე კვლავ გაუხსენეს ძველი ცოდვები: უზარმაზარი კრედიტების და გარანტიების უკანონო გაცემა კომერციულ სტრუქტურებზე. უმეტესი მათგანის დაბრუნება, როგორც თვით ნ.ჯავახიშვილმა აღიარა, მხოლოდ განსაკუთრებული ძალისხმევითაა შესაძლებელი. დეპუტატებს არც მისი პირადი შემოსავლების მდგომარეობა დარჩენიათ უყურადღებოდ. მათ მოითხოვეს წარმოედგინათ საბჭოს წევრობის კანდიდატებს დეკლარაცია პირადი შემოსავალ-გასავლის შესახებ.

ნ.ჯავახიშვილს კი სთხოვეს განემარტა, თუ რა სახსრებით ახერხებდა იგი მისი ქალიშვილის სწავლებას ინგლისის ყველაზე ძვირადღირებულ უნივერსიტეტში.

სხდომამ დრამატული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ჯავახიშვილის სასარგებლოდ მიცემულ ხმებში ისეთი დეპუტატთა გვარებიც აღმოჩნდა, რომლებიც არ ესწრებოდნენ პარლამენტის სხდომებს, ანუ მოხდა სხვისი პულტების გამოყენება.

პასუხგაუცემელ კითხვად დარჩა მრავალთათვის პარლამენტის სპიკერის ზურაბ ჟვანიას მოულოდნელი ცვლილება, ის, როგორც სანდო წყაროებიდან იყო ცნობილი, არ უჭერდა მხარს ნ.ჯავახიშვილს, მაგრამ ამ სხდომაზე ყველაფერი პირიქით მოხდა: პირდაპირ, მთელი კატეგორიულობით მოუწოდებდა სახლში დარჩენილ თუ დარბაზს გარეთ მყოფ დეპუტატებს სასწრაფოდ გამოცხადებულიყვნენ პარლამენტში, რათა ხელი შეეწყოთ გადაწყვეტილების მიღებისათვის.

ვნებათაღელვა პარლამენტში შესვენების შემდეგაც გაგრძელდა. პარლამენტმა ამ ჯერზე სიფრთხილის გზა აირჩია და საბჭოს დანარჩენი წევრების არჩევაც სამომავლოდ გადადო.

ახლა სიტყვა პრეზიდენტზეა.

როგორც ექსპერტებივარაუდობენ, არ არის გამორიცხული, რომ საბჭოში ვაკანტურ ადგილზე წარმოდგენილი იქნას გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვანო ჩხარტიშვილის კანდიდატურა, რომელზედაც ვარაუდობენ, რომ შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტადაც მოგვევლინოს. ვაკანტურ ადგილზე ასახელებენ აკადემიურ წრეების სხვა წარმომადგენლებსაც. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვნად იზრდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტად მისი ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტის მერაბ კაკულიას გასვლის შანსი. როგორც სარწმუნო წყაროთა ინფორმაციიდან ჩანს, განიხილება აგრეთვე საქართველოს მთავრობის ყოფილი ვიცე პრემიერის რომან გოცირიძის კანდიდატურაც.

ვნახოთ, რითი დამთავრდება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების კიდევ ერთი ტრაგი-კომიკური სპექტაკლი.

მ.ლვინიაშვილი

P.S. ასეთი ორომტრიალი, ასეთი ვნებათაღელვა აფხაზეთის საკითხის განხილვის დროსაც კი არ ყოფილა. როგორც ჩანს, იმ პოსტით უფრო ჩვენი პარლამენტი დაინტერესებული, საიდანაც, გლეხურად რომ ვთქვათ, ფულები ნაწილდება... კრედიტებით პარლამენტში მოსული ზოგიერთი დეპუტატი ახლა ახალ პრეზიდენტზე ოცნებობს, რომელიც ნაკლებად ძუნწი იქნება...

# შენ რა გაცინებს, შე უდღეურო?

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიას, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, 1 აპრილს ძალისმიერი სამინისტროების მეთაურებიც ესწრებოდნენ. დარბაზი სავსე იყო აფხაზეთ-სამაჩაბლოდან განდევნილთა წარმომადგენლებით. აქვე იყვნენ საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის" წევრები, რომლებიც უკვე მოფერიანდნენ შიმშილობის შემდეგ. მხოლოდ ბორის კაკუბავა, რომელიც მე-11 დღეა შიმშილობს, ცუდად გამოიყურება, გამხდარიცაა და ფერმიხდილიც. ძალისმიერმა სტრუქტურებმა თანადგომა გამოუცხადეს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს და კიდევ ერთხელ დარწმუნებით თქვეს, რომ ისინი მზად არიან, თუ ამის ბრძანება იქნება, გააკონტროლონ აფხაზეთის მთელი ტერიტორია. სხდომაზე საუბარი იყო მოსკოვის სამიტზე ხელმოწერილი დოკუმენტის და ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაწყების შესახებ. დოკუმენტის დადებით მხარეებზე ისაუბრეს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ირაკლი მენაღარიშვილმა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, ზურაბ ერქვანიამ. რაც შეეხება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, თამაზ ნადარეიშვილს, მას განსხვავებული აზრის აქვს, თუმცა, იმედს არ ჰკარგავს, რომ თუ ყველა ერთად დავდგებით და სერიოზულ მუშაობას გავწევთ, ამ დოკუმენტითაც შეიძლება აფხაზეთის ეტაპობრივად დაბრუნებას მივაღწიოთ. ყველა მომხსენებელი აღნიშნავდა, რომ დევნილებისაგან არ უნდა მოხდეს დესტაბილიზაციის პროვოცირება ქვეყანაში. ეტყობა, ამით გაღიზიანდა გერმანე ფაცაცია. მან ბოდიში მოუხადა უკვე ტრიბუნასთან მდგარ ზურაბ ჟვანიას და ემოციური სიტყვა წარმოთქვა: „საიდან უნდა დაიწყოს საქართველოში დესტაბილიზაცია, როდესაც მისი მაპროვოცირებელი ან ციხეში ზის, ან ხელისუფლებაშია. ჩვენმა აქციამ სწორედ ის აჩვენა, რომ შესაძლებელია საქართველოში პროცესების მართვა სწორად და ქვეყნის სასიკეთოდ. როგორ შეიძლება სტაბილიზაციაზე ლაპარაკი, როდესაც ქვეყნის 1/3 გაასხვისეს. აქ ჩვენ, დევნილები, სანამ არ დავბრუნდებით, დესტაბილიზატორები ვიქნებით რა სტაბილიზაციაზე საუბრობთ, როდესაც 20 საუკუნე არ მომხდარა მსოფლიოში ისეთი რამ, რაც საქართველოში მოხდა. მაშინ ბიზანტიამ ამოძირკვა ისრაელის სახელმწიფო და ეს ნიჭიერი ხალხი მსოფლიოში განეფინა. ჩვენც ასე ვართ ახლა. ბატონო ზურაბ, თუ ქვეყნისთვის სიკეთე გსურს ყველას, როგორ შეიძლება ვარდიკო აიტანო კაცმა რაზე აწერთ ხელს? არა ვარ მე დღეს ნორმალური კაცი და ნუ გამაკეთებინებთ, რომ ბენზინი გადავისხა – მოვიდა ეს 3 აპრილი და არაფერი არ მოხდა და არც მოხდება. რა. გადაწყვეტილებაც მივიღეთ, ეს დაღუპვაა. ვზივართ და ვისმენთ აქ აღმსრულებლებისგან ზღაპრებს. საშიშროება ცვედნობისაგან მოდის და გთხოვთ, აქ მაინც მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომ ხალხთან მისასვლელი პირი მქონდეს. ახლა, ჩვენი შიმშილობის შეწყვეტის შემდეგ ბორის კაკუბავა აგრძელებს შიმშილს. ვიდრე მოლოდინი გვქონდა, კიდევ ვიკრებდით ძალას. ახლა მოლოდინიც აღარა გვაქვს".

ზურაბ ჟვანიამ ჩვეული დიპლომატიურობით აღნიშნა, რომ გერმანე ფაცაციას სიტყვის შემდეგ მას ძალიან რთული ფონი დახვდა და ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფორუმი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 3 აპრილის პარლამენტის სესია. „ჩემთვის გასაგებია თქვენი მდგომარეობა" – თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ – „სიტუაცია მართლაც ტრაგიკულია. ხალხი სასოწარკვეთილია. ადამიანებმა ყველაფერი დაკარგეს და ახლა კარგავენ რწმენასაც. ჩვენი დეპუტატების აქცია სწორედ ამ პროტესტისგან იყო. ხელაღებით ამბობთ, არაფერი არ ხდებაო. ახალი წლის პირველი თვეებია, არცთუ ცოტას მივაღწიეთ, ჩვენ ინფორმაციულ ომს ვაგებდით. ჩვენი დიდი მეზობლისაგან შექმნილი სტერეოტიპი, რომ ჩვენ, დიდი ერი, მცირეს ვჩაგრავთ და მათ კი დამოუკიდებლობა სურთ, მსოფლიოში მუშაობდა. ეს სტერეოტიპი ამოტრიალდა. სხვადასხვა საერთაშორისო დონის შეხვედრებზე უკვე ლაპარაკი იყო ქართველთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდზე. საერთაშორისო დოკუმენტებში პირველად დაფიქსირდა გენოციდი. იგივე არძინბა გრძნობს ამას. ლაპარაკი დაიწყო საერთაშორისო ტრიბუნალზე. სეპარატისტები გრძნობენ, რომ რკალი ვიწროვდება ამა, რატომ გაუჩნდათ დიალოგის სურვილი? ახლა ჩანაოთ, რადგან უშედეგოა თუ არა რუსეთთან ურთიერთობები ფსოუზე საზღვარი გადაკეტილია. თუ მათი მომარაგება ხდება, იგი ხდება საქართველოს მხრიდან და ეს დასაფიქრებელია. რა საკითხს აყენებენ აფხაზი სეპარატისტები ისტერიულად? ეს არის რკინიგზის გახსნისა და ბლოკადის მოხსნის საკითხი". – შემდეგ ზურაბ ჟვანიამ ილაპარაკა აფხაზეთის შიგნით სხვადასხვა დაპირისპირებულ დაჯგუფებებზე. ასევე ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ბლოკადის გარდა, არის პოლიტიკური ბლოკადაც. სეპარატისტების დასაყრდენი რუსეთის დუმა, მთლიანად თუ არა, საკმაოდ ბლოკირებულია. პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვის სამიტზე 12 პრეზიდენტმა პირველად მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება აფხაზეთთან დაკავშირებით. ამ აზრს გერმანე ფაცაცია შეეწინააღმდეგა და როდესაც ზურაბ ჟვანიამ უპასუხა: „რა თქმა უნდა, ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა რუსები ფსოუზე გადასულიყვნენ"-ო, პრეზიდიუმში მჯდომ ირაკლი მაჭავარიანს ჰომერული ხარხარი აუტყდა. გენო კალანდიამ ადგილიდან უყვირა: „შენ რა გაცინებს, შე უდღეურო!". მაჭავარიანი კი არ წყნარდებოდა. გაღიზიანებული გერმანე ფაცაცია მივარდა პრეზიდიუმს და რაც ირაკლი მაჭავარიანს უთხრა... დუელიანტები დარბაზიდან გავიდნენ. ფოიეში ისინი გააშველეს. გერმანე ფაცაციას კიდევ დიდხანს აწყნარებდნენ თანაფრაქციელები.

დარბაზში კი ზურაბ ჟვანია სიტყვას აგრძელებდა. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა დამსწრეთ ერთიანობისაკენ და ისიც თქვა, რომ მოსახლეობის აფხაზეთში დაბრუნება კენჭისყრით არ მოხდება. 3 აპრილს კი თავიდან უნდა აეცილებინათ ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციის საშიშროება. ამ საქმეში კი სწორედ დევნილები უნდა გახდნენ სტაბილიზაციის გარანტები.

მანანა იაშვილი

# „პირველ" თბილისელს კიდევ ერთხელ დაეთუთქებოდა გული... და ფრთები

## ფილარმონიის მიტინგის გამო

აპრილის მოლოდინში ყველა სახელისუფლო სტრუქტურაში აზრი გავრცელდა, ვითომ მიტინგები დესტაბილიზაციას გამოიწვევსო. მოსახლეობას წარსულის სურათებით აშინებენ და თვითონაც არ მალავენ შიშს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ დღევანდელი ხელისუფლების უმეტესი ნაწილი სწორედ პროვოკაციულად აგორებულ მიტინგ-სამოქალაქო ომის ტალღაზეა ხელისუფლებაში მოსული. მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ მაშინ მიტინგების გადატრიალების ტალღაზე გადაყვანა გამოიწვია სწორედ ხელისუფლების უუნარობამ ოპოზიციასთან საერთოდ ენა გამოენახა და კონსენსუსისათვის მიეღწია. ამას დაემატა არასწორი საკადრო პოლიტიკა, ხოლო წინა ხელისუფლების დასასრულის პრაქტიკული განხორციელება პოლიციისაგან ედპ-ს მიტინგის დარბევით დაიწყო. დღეს არც ბორის კაკუბავა, არც დანარჩენი ფრაქციის წევრები და მითუმეტეს, ლტოლვილები იმ ფაქტორების გამომწვევნი არ არიან, რაზედაც ზევით მოგახსენეთ. ეს ხალხი უწინდელი გაგებით არაა ის ოპოზიცია, რომელმაც სამოქალაქო ომი გამოიწვია. ფრაქცია „აფხაზეთი" თვითონაა ხელისუფლების ნაწილი, ხოლო დევნილი მოსახლეობა კი თავის მამულში დაბრუნებას ითხოვს. ამიტომ მათი გააქტიურება გონიერმა ხელისუფალმა, თუ მას ქვეყნის გამთლიანება სურს, სწორედ პოზიტიურ ფაქტორად უნდა აღიქვას.

რაც 2 აპრილს ფილარმონიის დარბაზში გამართულ მიტინგზე ილაპარაკეს, არაფრით ჰგავდა, რომ იქ შეყრილ ხალხს წარსული შეცდომების გაანალიზების მცირე უნარი მაინც გააჩნია. პირიქით, უმეტესობა ცდილობდა იმ სამარცხვინო ახლო წარსულის აჩრდილი გაეცოცხლებინა, რაც ამავე დარბაზში რამდენიმე წლის უკან მოხდა. ტერმინ „თბილისელის" გაპროვინციალებას, რაც ჩვენი დედაქალაქის ქვეყნის თავკომბალად გადაქცევამ და სხვა ქალაქების ფუნქციების მიზანმიმართულმა ნიველირებამ გამოიწვია, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მოვესწარით. რამდენიმე წლის წინ კი ამ ტერმინმა უკვე აგრესიული პროვინციალიზმის სახელი დაიმკვიდრა. ფილარმონიის მიტინგის მოთავეებს, ჩვენდა სასიხარულოდ, ძველებური ცეცხლის გაღვივება არ გამოუვიდათ და ისე დაიშალნენ, რომ მიმართვის მიღებაც კი დაავიწყდათ. გადაჭედილ დარბაზს, რომელთა შეკრება გამგებლების დახმარებით ქალაქის მერს არ გაჭირვებია, დრო და დრო ტაშის დასაკრავად იყენებდნენ ორგანიზატორები, რომელთა დაკვალიანებული ქვეშევრდომები ადგილ-ადგილ იყვნენ გაბნეულნი დარბაზში და ყველას თავისი სექტორის მეურვეობა ეკისრა. ტელესერიალ „კასანდრასი" არ იყოს, „ამდენ ბოშას ჩემს სახლში რა უნდაო", ეტყობა ალფონსოსავით დაემართა თბილისელ ელდარ შენგელაიას, როდესაც დარბაზს გადახედა და სათქმელს თავი ვეღარ მოუყარა, ვინაიდან თბილისელთა სახელით უამრავი თბილისელობადაბრალებული მოყმე და დიაცი ყლყლაობდა დარბაზში თუ გამომსვლელთა შორის.

ნამდვილი თბილისელები და საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები საღად მოაზროვნე ადამიანები კი შესცქერიან ასეთ შოუ-სპექტაკლებს და გული უკვდებათ ელიტის გაპროვინციალურების გამო. ალბათ, იმ ერთადერთ თბილისელ ხოხობსაც ხელმეორედ დაეთუთქა გული და ფრთები, რომელიც 15 საუკუნის წინათ გოგირდის წყალმა შეიწირა...

მანანა იაშვილი



## აფხაზეთი დნესტრისპირეთში „T-64" ტიპის ტანკების შექენას აპირებს

საქართველოს ერთ-ერთ ძალისმიერ სტრუქტურასთან დაახლოებული წყაროდან BGI-სთვის ცნობილი გახდა, რომ არძინბას ხელისუფლება აპირებს იმ ტანკების შეძენას, რომელსაც რუსეთი დატოვებს დნესტრისპირეთში (მოლდოვა) რეგიონიდან თავისი ჯარების გამოყვანის შემდეგ. რუსეთი აღნიშნულ რეგიონში დატოვებს დიდი რაოდენობით შეიარაღებას და საბრძოლო მასალას, მათ შორის 120-მდე T-64 ტიპის ტანკს. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აღნიშნული ტექნიკა დროთა განმავლობაში განადგურდება, თუმცა, არ გამორიცხავენ მისი გაყიდვის შესაძლებლობასაც.

BGI-ის ცნობა: დღეისათვის დნესტრისპირეთის ყველა სამხედრო ფორმირებას და საფინანსო სამსახურს ამ რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი ვადიმ შევცოვი აკონტროლებს. მინისტრის ნამდვილი სახელია ვლადიმერ თურის ძე ანტიუფეევი. იგი წარსულში ლატვიის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ბატალიონის („ომონის") წევრი იყო და ლატვიის შსს-ს მიერ იძებნება ქვეყანაში მძიმე დანაშაულის, მკვლელობის ჩადენის გამო. სანდო წყაროებიდან ცნობილია, რომ დნესტრისპირეთში პოლიტიკური ვითარების მისთვის არასასურველი კუთხით შემობრუნების შემთხვევისათვის შევცოვს ყველა დოკუმენტი აქვს მზად იმისათვის, რომ თავი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეაფაროს. (ბი ჯი აი)

## აფხაზეთში შეიცვლება რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტი

მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტიგენტი ხარისხობრივად შეიცვლება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მოტომსროლელთა ბატალიონები მოსახლეობის დაცვასა და სპეცოპერაციების ჩატარებაში გაწვრთნილი სპეცქვედანაყოფებით შეიცვლება.

## გაიფიცა 1000 ენერგეტიკოსი

როგორც სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, 3 აპრილს დილის 10 სთ-ზე გაიფიცა ცაგერის რ-ში მდებარე „ლაჯანურჰესი"-ს 1000-მდე თანამშრომელი. გაფიცვა გამოიწვია რამოდენიმე თვის განმავლობაში ხელფასების მიუღებლობამ. ამას დაერთო 2 აპრილს, ფილარმონიის დიდ დარბაზში, თბილისელთა შეხვედრაზე, ქალაქის პოლიციის შეფის დ.მიქაძის განცხადება, რომელშიც მან ენერგეტიკოსები ფაქტიურ საბოტაჟში დაადანაშაულა. წყაროს ცნობით, „ლაჯანურჰესი"-ს პერსონალი მსგავსი არაკორექტული განცხადებების განმეორების შემთხვევაში მიიღებს საპასუხო ზომებს.

წყარომ ასევე აღნიშნა, რომ „ლაჯანურჰესი" არის მიწისქვეშა ელექტროსადგური, რომელიც დღეღამეში 100 მგვტ. ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც კარდინალურად საჭიროა ენერგოსისტემის მართვის პროცესისათვის. (იფრინდა)

---

**დისკუსიისათვის თემაზე: „საით მიდის საქართველო?!"**

# ჭაჭია გვაშინებს...

ან არა და, ყველა ჩამოთვლილ მტერს უნდა ვებრძოლოთ, თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ: „ქართველთა ჯარი პანიკურად გაიქცა აფხაზეთიდან 300 რუსისა და 500 ჩეჩენის შიშით"-ო, ცინიკურად გაგვახსენებს ბატონი ოპონენტი. მე კი ვიტყოდი: - სწორია ბატონო, ჩვენ მშიშრები ვართ, მაგრამ ვიღაც-ვიღაცეებზე მშიშრები კი არა. ჩეჩნებმა ჩვენზე გაცილებით ძლიერები დაიფრინეს და გააპანღურეს ჩეჩნეთიდან. ისტორიაში კი უარესიც მომხდარა. მაგალითად, 70 მილიონიან იაპონიის მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს კვანტუნის არმიას, კბილებამდე შეიარაღებულს უახლესი საბრძოლო ტექნიკითა და კამიკაძეებით, ერთმა ამერიკელმა პილოტმა იარაღი დააყრევინა. ისე რომ, მთლად ასე არ არის საქმე, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

- „შემიძლია დაგარწმუნოთ - წერს ალ.ჭაჭია, რომ რუსეთში დღეს არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც სისტემატურად, სერიოზულად დაკავებულია საქართველოს პრობლემებით". - საიდან იცის? ასეთ ცნობებთან ხომ რუსეთში თითზე ჩამოსათვლელ პიროვნებებს თუ მიუწვდებათ ხელი. თანაც ამ მტკიცებას საფუძველი გამოაცლა ა.წ. 26 მარტის „ნეზავისიმაია გაზეტას" გახმაურებულმა პუბლიკაციამ.

ალ.ჭაჭია წერს: „ერთ-ერთი, რასაც გააკეთებს რუსეთი (განსაკუთრებით ე.შევარდნაძის მიერ „ნატო"-ს გეგმების მხარდაჭერის შემდეგ), ხელიდან არ გაუშვებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რაც, სხვათაშორის, სრულიად ემთხვევა თურქეთის სურვილებს, ვინაიდან, შეესაბამება კონცეფციას, შემდგომში ამ კონფედერაციის გამოყოფით რუსეთიდან" - ამაზე დიდი შეურაცხყოფა რუსული პოლიტიკისა და რუს პოლიტიკოსთა უარეს პრიმიტიულ ლენჩებად წარმოსახვა წარმოუდგენელია. ნუთუ რუსეთი ორიენტაციას თურქეთის გაძლიერებაზე იღებს საქართველოს უსაქციელობის გამო? საქართველო ბოლოს და ბოლოს რუსეთის მეგობარი იყო (თუნდაც რელიგიურად), თურქეთი კი არასოდეს ყოფილა მისი მეგობარი. ესეც არ იყოს, ნუთუ ბატონ ჭაჭიას არაფერი მოეხსენება „მესამე რომის" ვარიანტის 500 წლიან ისტორიაზე? ყველაზე აბსურდული კი ისაა, რომ ამ მსჯელობის შემდეგ, იქვე, მორიგ აბზაცში ავტორი ასკვნის: - „მაშასადამე „პრორუსული ორიენტაციის მომხრეებს იმედის გაცრუება ელით"-ო. შეიძლება აქ საგაზეთო შეცდომასთან გვაქვს საქმე და „პრორუსულის" მაგიერ „ანტირუსული" ან „პროდასავლური" უნდა ეწეროს?

„ცნობილი გეოპოლიტიკური გეგმებიდან და აგრეთვე საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალიებიდან, სავალუტო ფონდის პოლიტიკიდან და საქართველოს მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს ერთადერთი დასკვნა: ქართველი ერი (ყოფილ სსრკ-ს სხვა ერებთან ერთად) მოხვდა იმ ხალხთა სიაში, ვის ხარჯზეც გადაწყვეტილია პლანეტის მოსახლეობის შემცირების უზრუნველყოფა" - საინტერესოა ვინ შეადგინა ეს სია და სად ინახება, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მაინც მართლები ყოფილან კომუნისტები, რომლებიც დღენიადაგ ჩაგვჩიჩინებდნენ დასავლეთელ კაპიტალისტთა მზაკვრულ გეგმებზე. ახლა გვიანია თითზე კბენანი, ისე კი, ალბათ, ძალზე გააუმჯობესებს დედამიწის გადატვირთულ დემოგრაფიულ სურათს სამი მილიონი ქართველით შემცირება.

ბატონ ალ.ჭაჭიას შეფასებით „გამოტვინებული ბჟეზინსკი" თურმე აცხადებს: „კომუნიზმის დანგრევის შემდეგ ამერიკის ერთადერთ მტრად დარჩა მართლმადიდებლობა"-ო. არ ვიცი სად და რა კონტექსტში ითქვა ეს სიტყვები, მაგრამ ერთობ ულოგიკოა, რომ „ნატოს" წევრი სახელმწიფო მეორე წევრზე ამას ამბობდეს (იგულისხმება საბერძნეთი). რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებლობას, რის საფუძველზე წარმოიდგინა ბატ. ბჟეზინსკიმ ამერიკის მტრად, გაუგებარია. ესეც არ იყოს, როდიდან გახდა გადამდგარ პოლიტიკოსთა გამონათქვამები ქვეყნის რეალური პოლიტიკის საფუძველი? „ანალოგიური გულახდილობით მხოლოდ ჰიტლერი ლაპარაკობდაო" - სულ უკარგავს ბატონი ალ.ჭაჭია დამსახურებას ბატონ ვლადიმირ ჟულფოვიჩს.

„1941 წლის 18 ივნისს გერმანია-თურქეთის ხელშეკრულება - წერს ალ.ჭაჭია, - ითვალისწინებს: 1) ამიერკავკასიის ქვეყნების კონფედერაციის შექმნას გერმანიისა და თურქეთის ერთობლივი პროტექტორატის ქვეშ. 2) მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნას ჩეჩენოინგუშეთის, დაღესტნის, ყაბარდობალყარეთის, ადიღეის, ყარაჩელჩერქეზეთისა და აფხაზეთის შემადგენლობით. 3) თურქეთისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის), აჭარისა და ნახიჭევანის რაიონის გადაცემას. 4) სამეგრელოს გამოყოფას (დედაქალაქით ფოთი) და მისი გერმანიის „განსაკუთრებული ინტერესების ზონად" გამოცხადებას;

ცალკეული ხალხების გეგმაზომიერი განადგურების კონცეფცია შემუშავებულია ჰიტლერისა და როზენბერგის მიერ. შემდგომში კი ალ.დალესის მიერ (აქ ავტორს რატომღაც ნიკიტა ხრუშჩოვი გამორჩა, ალბათ, უნებლიედ). ჩვენს დროში კი მასში შეტანილია ზოგიერთი ცვლილებები, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო რეალიებს. დანიშნული მსხვერპლის მიმართ კონცეფცია ითვალისწინებს: 1) არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სრულ დისკრედიტირებასა და გამაერთიანებელი საერთო ეროვნული მიზნის წარმოქმნის არდაშვებას. 2) საშინაო შეიარაღებულ კონფლიქტთა სერიის გაჩაღებას, სეპარატიზმის მხარდაჭერას და სახელმწიფოს რამდენიმე ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ ტერიტორიებად დაყოფას. 3) სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმო სიმძლავრეთა გაჩერებას, დემონტაჟსა და განადგურებას. 4) შემოტანილი სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლისაგან სრულ დამოკიდებულებას. 5) იმ პირობათა განადგურებას, რომლებიც აუცილებელია ფუნდამენტალური და გამოყენებითი მეცნიერებების განვითარებისათვის. ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის დაშლას და მათ მიუწვდომელ ფუფუნებად ქცევას. 6) მოსახლეობის ზნეობრივ დეგრადირებას, ტრადიციული ფასეულობების დაცემასა და განადგურებას, ეროვნული კულტურის განდევნასა და მისი უცხოური სუროგატით შეცვლას".

მართლაც ძნელია არ დაეთანხმო იმას, რომ ეს ყველაფერი საქართველოს დღეს არსებულ რეალობას ეთანადება. მეტიც, აქ საქართველოს დღევანდელი სურათია დახატული და თუ ამის წინასწარი თეორიული პროექტი არსებობს, მაშინ საკვირველი მხოლოდ ის არის, თუ როგორ შესძლეს ავტორებმა ასეთი მიკროსკოპული სიზუსტით მაინც და მაინც საქართველოში ამ პროექტის განხორციელება.

ისე კი უნდა ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკოსები, ალბათ, დიდ შეცდომას სჩადიან, რომ უგულებელყოფენ მითრიდატე პონტოელის, აიეტის, აშაურბანიპალის, ნაბუქოდონოსორის და სხვათა ადრინდელ გეგმებს, არადა ვინ იცის, საქართველოსთვის რამდენი სასარგებლო დოკუმენტია მიღებული და დღემდე განუხორციელებელი (თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ან ის, რომ მეორედ მოსვლისას ქრისტე ქართულად ილაპარაკებს).

რაც შეეხება ამერიკა-ევროპის ინტერესთა ვრცელ ანალიზს და იქიდან გამომდინარე დასკვნათა ვარიანტებს, აქ ძნელია არ დაეთანხმო ავტორს, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი რეალობაა. ყოველივე ამის გამო - ასკვნის ალ.ჭაჭია - „აუცილებელია ეროვნული იდეის ჩამოყალიბება და მისგან გამომდინარე სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების კონცეფტუალური მოდელის შემუშავება. პირადად მე მის ეკონომიკურ-საგარეო-პოლიტიკურ და კულტურულ ნაწილში მზად ვარ სტატიების სერიალში დაწვრილებით გავაშუქო ეს საკითხები (უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ჩემი წინადადებისა, საქართველოს პრეზიდენტს ამ პროექტის გაცნობის ინტერესი არ გამოუმჟღავნებია)" და ეს განა თქვენთვის, ბატონო ალექსანდრე, გასაკვირია! თქვენ ხომ პრეზიდენტის მოწინაამდეგე ბანაკში იყავით, რატომ არ უნდა შეხედოს პრეზიდენტმა თქვენს შეთავაზებულ დახმარებას ეჭვით? ესეც არ იყოს, თქვენ ხომ აღნიშნული პროექტი პრეზიდენტისათვის არ შეგიქმნიათ, საქართველოსთვის არ შექმენით? მაშ გაგვაცანით იგი, ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტს 5 წლით ვირჩევთ, სამშობლოს კი სამუდამოდ (ან იმ დრომდე, როდემდეც საჭიროდ ჩავთვლით).

რაც შეეხება დემოკრატიის ალ.ჭაჭიასეულ განმარტებას, ამაში სრულიად ვეთანხმები. ასევე არ შეიძლება არ გავიზიარო მისი გულისტკივილი ამდენ ქართველ ვაიპოლიტიკოსთა და ვაირეფორმატორთა მოღვაწეობის გამო და არ დავეთანხმო, რომ აუცილებელია კანონის მიღება სახელმწიფო მოღვაწეთა საქმიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის შესახებ.

ამრიგად, ბატონ ალ.ჭაჭიას სტატია, როგორც დავინახეთ, შეიცავს ფრიად საინტერესო მასალას და გათვლილია მკითხველთა ფართო მასაზე. იმათზე, ვინც სასოწარკვეთის გამო უამისოდაც პოლიტიკურ ჰიპნოზშია ჩავარდნილი. მეც სწორედ მათ გასაგონად ვამბობ: - ყველამ გაიგო, რომ მოსატყუებელი კბილები თქვენ უკვე დაცვენილი გაქვთ (ან სულაც დაცვენილი), ამიტომ იძულებული არიან ილაპარაკონ: ყოველთვის სიმართლე, ყველგან სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, რაც შეიძლება ბევრი სიმართლე, მაგრამ ეს ყველაფერი იმიტომ, რომ არ ითქვას სრული სიმართლე, ურომლისოდაც ყველაფერი სიცრუის ტოლფასია, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ (ბევრისათვის) ძნელად დასანახი.

იგორ პატარიძე
1997 წ. მარტი

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №32

---

## ბარამიძე რჩეულიშვილს თავპირის დანაყვით დაემუქრა...

3 აპრილს, პარლამენტის წინ და რუსთაველის პროსპექტზე იმდენი პოლიციელი იდგა, რომ გადაცმული ლტოლვილები გეგონებოდათ, რომლებიც მიტინგის დაწყებას უცდიდნენ. პარლამენტში კი ზურაბ ჟვანიამ იმდენი მოახერხა, რომ დებატების გარეშე მიღებული იქნა დადგენილებაც და საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონცეფცია, რომელიც სახალხო ფრაქციის პროექტზე იყო დაფუძნებული. ოპოზიცია ზეიმობდა. გამწარებულმა ელდარ შენგელაიამ დარბაზი დატოვა. ვახტანგ რჩეულიშვილი კი უმრავლესობას მონებს ეძახდა და ისე ბობოქრობდა, რომ დსთ-ში შესვლის დროს მასზე და უმრავლესობაზე ოპოზიციისაგან დატეხილი ქარტეხილი მონაგონი იყო. რჩეულიშვილის ეპითეტზე გაბრაზებული გია ბარამიძე ყოფილ ვიცესპიკერს თავ-პირის დანაყვით დაემუქრა, გოგა ლორთქიფანიძემ კი პროტესტის ნიშნად ჯოხი დაატრიალა. კონფისყრა უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ მამუკა გიორგაძემ მაინც თქვა თავისი ცეცხლოვანი მონოლოგი თითქმის ცარიელი დარბაზის წინ. ფოიეში გამოფენილი დეპუტატები ერთმანეთს და ჟურნალისტებს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. როგორც აღმოჩნდა, ბევრ „რუსეთუმეს" არ მოეწონა კონცეფცია, მაგრამ უარყოფითი ხმის მიცემა ვერ გაბედეს. უფრო გაბედულებმა ხმა არ მისცეს, მხოლოდ 5 კაცი აღმოჩნდა იმდენად უმართავი, რომ პულტით დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება.

## სააკაშვილს რევოლუციონერობა მოენატრა

ეროვნული კონცეფციის ასე სასწრაფოდ მიღებამ მიხეილ სააკაშვილის ისედაც დაუოკებელი ენერგია სიხარულით აავსო: „რა კარგია რევოლუციონერობა" - შესძახა ჩვენს დანახვაზე, და გზის ისეთი სისწრაფით გაგრძელებას ეცადა, რომ ძლივს დავაოკეთ. ვკითხეთ, რას ელოდა ამ კონცეფციისაგან: „პარლამენტში დღეს ეროვნული მოძრაობიდან მოსული პარტიების წარმომადგენლებია, ამიტომ მათ



არ უნდა გაჭირვებოდათ კონსენსუსის მიღწევა. გაიგეთ, რომ ჩვენ ეროვნული ხელისუფლება ვართ! ჯერჯერობით რაც მოვახერხეთ, შევაჩერეთ საქართველოს ალბანიზაცია, თორემ კონცეფციებით პოლიტიკა არ ტარდება. რეალურად ჩვენი პრეზიდენტი ატარებს იმ პოლიტიკას, რომელიც ყველა ილუზიას აღემატება" - თქვა მან და მეტეორივით გაიჭრა პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტისაკენ.

## „ადნაღიუში" დეპუტატი

ვახტანგ რჩეულიშვილი ეროვნული კონცეფციის მიღებით დსთ-დან საქართველოს გასვლის საშიშროებას ხედავს. მითუმეტეს, რომ ეს მაშინ მოხდა, როდესაც დსთ-ს სტრუქტურა ნელ-ნელა აეწყო და ჩახუტების (ინტეგრაციული) პროცესიც დაიწყო. ერთ კვირაში რჩეულიშვილი კორეაში მიდის საპარლამენტთაშორისო საერთაშორისო შეხვედრაზე, სადაც დსთ-ს, გაეროს, ნატოს და სხვა რეგიონალური ორგანიზაციები უნდა შეხვდნენ. „რა ვუთხრა მათ, იქ ხომ ჩვენი როლი უნდა გაირკვეს". - წუხილით აღნიშნავს რჩეულიშვილი. სხვებსაც ჩაეხუტეთ, ბატონო ვახტანგ, ერთი ქვეყნის შეყვარება აღარაა მოდაში!

მანანა იაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაცხარებული დებატები პარლამენტში

სააგენტოს კორესპონდენ-ტის ცნობით, პარლამენტის სა-ღამოს სხდომაზე გამოსულ პარ-ლამენტარ ი.სარიშვილი–ჭან-ტურიას განცხადებით – „ის, რაც დილის სხდომაზე მოხდა, ყველანაირ მოსალოდნელ მიტ-ინგზე უარესია. არა იმიტომ, რომ ნ.ჯავახიშვილს ალტერნა-ტივა არა ჰყავს, ამ ალტერნა-ტივას ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაუარესება მოყვება“. ფრაქცია „ედპ (ეროვნულ-დემოკრატიუ-ლი პარტიის)“ ლიდერმა წამო-აყენა წინადადება, რომ პარ-ლამენტარებმა ეროვნული ბანკ-ის საბჭოს სხვა კანდიდატურე-ბიც ჩააგდონ და დაუბრუნონ პრეზიდენტს, რათა ორი კვირის შემდეგ პარლამენტს კვლავ მიეცეს ნ.ჯავახიშვილის კან-დიდატურის ხელახალი განხ-ილვის შესაძლებლობა.

ი.სარიშვილი–ჭანტურიას წინადადებას მოჰყვა დეპუტატ-თა მიერ ნ.ჯავახიშვილის ღვაწ-ლის შეფასება და იმის აღი-არება, რომ პარლამენტი უმა-დურად მოექცა ამ პიროვნებას. თუმცა, „სახალხო ფრაქციის“ წარმომადგენლები პიროვნების ავტორიტეტზე აგებული ფუ-ლად-საკრედიტო პოლიტიკის კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდნენ და პირიქით, დემოკრატიის მონაპოვრად ჩათვალეს პრეზიდენტის მიერ დასამტკიცებლად წარდგენილი, უკვე მეორე კანდიდატურის ჩაგდება.

გაცხარებული დებატების შემდეგ, პარლამენტარებმა, ბანკის საბჭოს წევრთა დანარ-ჩენ კანდიდატებზე კენჭისყრის სხვა სხდომისათვის გადადება გადაწყვიტეს. (იფრინდა)

## ირაკლი ბათიაშვილის ორიგინალური მოსაზრება...

„ჩვენ რაღაცით გავალიზ-იანებთ რუსეთს და რეალუ-რად კი ვაკეთებთ იმას, რასაც გვეუბნებიან. ხალხი ითხოვდა ჯარი გავიდესო, მოსკოვის სამიტზე კი ამ ჯარს მანდატს უფართოვებენ. იქ სამშვიდობო ჯარის გაყვანა კატეგორიულად უნდა დაგვეყენებინა. დემაგო-გიაა, როდესაც გვაშინებენ, მათი გაყვანით ომი დაიწყებაო. ჩვენ 9 თვე ვიდექით უმაგა-თოდ და ომი არ დაგვიწყია. რა, ქუთაისზე წამოვლენ აფხ-აზები და თბილისს აიღებენ? მაშინ მათ გაუმთლიანებიათ საქართველო. ძალიანაც კარ-გი, ისტორიულად ხომ უკვე ერთხელ მოხდა აფხაზეთიდან საქართველოს გამთლიანება. (იცინის)



## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## „ქამუშაძის გაჭირვება“

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

### თვითგაუცხოება

საუკუნეთა წიაღიდან მოგვდევს ბრძნული შეგონება – „შეიცან თავი შენი“. ეს მცა-ნება ადამიანს ყველაზე დიდი დილემის წინაშე აყენებს. გაფაციცებული, გარეშე მოვ-ლენებზე მიყურადებული ად-ამიანი ყველაფრის შეცნობასა და გაგებას ცდილობს, საკუ-თარ თავში ჩასაღრმავებლად კი დრო არ რჩება. უფრო სწო-რად, საკუთარი სულის გაშიშ-ვლებას გაურბის. ნაცვლად იმ-ისა, რომ შეიცნოს თავი თვისი და იყოს ის, რაც არის, ან ეცადოს გახდეს უკეთესი, ად-ამიანს ურჩევნია იცხოვროს პიროვნული მე-ს მიმართ ილ-უზიური დამოკიდებულებით.

„ქამუშაძის გაჭირვებაში“ წარმოჩენილი გაუცხოება წოდე-ბათა შორის, გაუცხოება ერთი წრის ადამიანთა და საზოგა-დოდ პიროვნებათა შორის და გაუცხოება ოჯახის წევრთა შორის იმდენად თვალშისაცემი არ არის, რამდენადაც პიროვნების გაუცხოება საკუ-თარ თავთან.

ადამიანის ტრაგი-კომიკურ ყოფას, უპირველესად, სწორედ ეს გაუცხოება ედება საფუძვ-ლად. მოთხრობის პერსონაჟები დაჟინებით ცდილობენ მიჩქმა-ლონ თავიანთი ნამდვილი სახე. თვალი მოუხუჭონ რეალურ ვი-თარებას და თავიც დაირწმუ-ნონ, პირველ ყოვლისა, კი სხვა დაარწმუნონ, თავიანთი ილუ-ზიური წარმოდგენების რეალ-ობაში. დავით კლდიაშვილის სამყაროს ტრაგი-კომიკური არსი სწორედ ამაშია გამოხატ-ული.

„სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლი ეთხოვა“ – კლდიაშვილისათვის დამახასიათებელ ამ ბუნებრივ, უშუალო ფრაზას, ამ პირვე-ლივე მოხდენილ წინადადებას შევყავართ „ქამუშაძის გაჭირვე-ბაში“ აღწერილ სამყაროში. გავეცნობით, დავათვალიერებთ ამ სამყაროს, დავხურავთ წიგნს და ვფიქრობთ: არც დრო ყოფი-ლა და არც გარემოება უწყ-ობდა ხელს საწყალ ოტია ქა-მუშაძეს, რომ ცოლი ეთხოვა. მთელი ეს სამყარო ასეთი პარა-დოქსებითაა სავსე. არა ბუნე-ბრივად, მიზეზ-შედეგობრივად განპირობებული პარადოქსებით, არამედ ხელოვნურით, რომელიც ცხოვრებას შემოუგდია ადამი-ანთა დასაცინად და გასაწამე-ბლად.

ბუნებრივი იყო მართლაც, "დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა“ ნამდვილად, რომ უკვე შელერებულ ახალგაზრ-დას ცოლი ეთხოვა, მაგრამ ეს ბუნებრივი სურვილი, თურმე სასაცილოდ უნდა აეგდო ცხ-ოვრებას. დავით კლდიაშვილის გმირებისათვის ბედნიერების ბუნებრივ მოთხოვნილებას შედეგად მოსდევს უბედურე-ბა. ეს არის ამ გმირების ტრა-გედია. მაგრამ მათ არ სურთ შეეგუონ უბედურებას და თავს იმხნევებენ, სანამ სულ არ დაზაფრავთ ცხოვრება, მანამ-დე, ძალიანაც კმაყოფილად გრძნობენ თავს – ეს უკვე კომედიაა.

ასე რომ, როცა კლდიაშ-ვილის გმირების თვითგაუცხ-ოებაზე ვლაპარაკობთ, ამის საფუძველი მათ ბოროტებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მათ გაუნათლებლობაში, უფრო მეტად კი ბუნებრივ, ადამია-ნურ სურვილში – იყვნენ არა ის, რაც არიან, არამედ ის, რაც სურთ, რომ ყოფილიყვნენ.

„ქამუშაძის გაჭირვების“ საფუძველი რეალურსა და შესაძლებელს შორის ზღვარის მოშლაში დევს, რისი შედე-გიცაა ტრაბახი, ბაქიაობა, უბოროტო ტყუილების რაკრა-კი:

„ვაი დედასა!.. რა ოჯახის შვილი ვის ნაცარში ვიქექები და კიდევ ასეთ გაჭირვებაში?! – ამოიოხრებდა ხოლმე ოტიას დედა, სანიკიძის ქალი ეკვირ-ინე“. მწერალი კი იქვე დასძენს, „თუმცა, სიმართლე უნდა ეთქვა კაცს, მაინცდამაინც სანიკიძეე-ბიც ვერაფრით უსწრებდნენ ქა-მუშაძეებს. მაგრამ ეკვირინეს ღრმად სწამდა თავისი ჩამო-მავლობის უპირატესობა“.

ოჯახში ახლად შემოყვა-ნილ რძალს ეკვირინე სრული რწმენით ეუბნება:

„ქმარი კაი იშოვე დედა და ოჯახი ისეთი, რომ...“ მერე კი რძლის ძმას მოუტრიალდება:

– არაფერი მას აქ არ მოაკ-ლდება, შენი ჭირიმე, არაფერი! – ბაქიაობს ეს მოხუცებული, შრომისაგან წელში გაწყვეტილი, არასმქონე დედაკაცი.

ერთ რამედ ღირს ეკვირ-ინეს საუბარი რძალთან, როცა თავის უძრავ-მოძრავი ქონების დასათვალიერებლად წაიყვანა. „ამ ჭურებში შარშან ღვინოე-ბი ჩაისხა“... „ბოსტანი მქონდა შენ გენაცვალე, ისეთი ბოსტანი...“ „ხახვი, ეხლა ამას რომ ხედავ, ეს რაა იმასთან, შარშან რომ იყო...“ „ეს სალა-თა... ჰმ, იმდენი იყო“. მქონდა, იყო, გვექნება, ღმერთი მოგვცემს, სულ წარსული ან მომავალი დროის შესახებ ლაპარაკობს მოხუცი, აწმყოზე კი, აწმყოზე ხმას არ იღებს. არაფერი აქვს და რა თქვას, მაგრამ არც გულს იტეხს. ეს უსაფუძვლო ოპტიმიზმი არა მხ-ოლოდ სასაცილო მდგომარე-ობაში აგდებს აზნაურის ამ-პარტავან ქალს, ოჯახის კიდევ უფრო გაპარტახების საფუძ-ველიც ხდება. ამ ოპტიმიზმის გამო იყო, როგორც კეთილშო-ბილმა ქალმა, თავი რომ არ შეირცხვინა და შვილის ქორ-წილზე მეტისმეტად დიდი ხარ-ჯი გასწია, რასაც შედეგად სრული გაღატაკება მოჰყვა.

ეკვირინე არ არის მხოლოდ ასეთი. კუდაბზიკა და ამპარ-ტავანია ყველა ამ სოფელში, ვისაც „კეთილშობილის სისხ-ლი“ უდუღს ძარღვებში.

„– შენ არ მომიკვდე, ღარი-ბი აზნოურიშვილი, რატომ? შე-ვარცხვინე ღარიბი აზნოურიშ-ვილი, შევარცხვინე, ვინც ღარიბი იყვეს...“ – გაიძახის ერთი შემთვრალი აზნაური, რომელსაც გაცრეცილი ძვე-ლი ჩოხა ეცვა და ჭუჭყით გაზინთული ყაბალახი ებურა. ამ აზნაურს, ისე, როგორც სხვებს, მართლა სჯერა, რომ თავად არაფერი სჭირს სხვის-გან შესაცოდებელი და, რომ „შესარცხვენი ღარიბი აზნოურ-იშვილი“ თვითონ არამც და არამც არ არის...

დავით კლდიაშვილის გმირები იმდენად გაუცხოებუ-ლან საკუთარი თავისაგან, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი სცენაზე, სხვის დანა-სანახავად, სხვასთან თავმოსა-წონებლად ცხოვრობენ.

„ხალხს ისეთი უნდა ეჩვენო, შვილო, რომ მტერს თვალი დოუდგეს, გული მოუკლა და ენა მუცელში ჩაუგდო!... ძა-ლათი რომ არ უნდოდეს, მაინც ათქმევინო შენი თავის ქება, აბა!..“ არიგებს ეკვირინე სო-ნიას. ამ სიტყვებში გაცხადე-ბული აზრით ცხოვრობს სოფე-ლი.

ოტია ქამუშაძეს, ამ მშრომელსა და საწყალ (კი-ნაღამ წამომცდა, გლეხს-მეთ-ქი) აზნაურს, ისე დარევს ხელს ამპარტავნების გრძნობა, რომ ცოლსაც კი მეზობლის ჯი-ნაზე ირთავს. მეზობელი აზნ-აურის სარდიონ ქველიძისაგან დაწუნებულ ოტიას პორფირ ბი-აშვილი ქალაქელი ქალის გარიგებას შეჰპირდება.

„ოტიას გული ძალზე სცემ-და იმ მოულოდნელი ბედნიერე-ბის მოახლოებით, რასაც ჰპირდებოდნენ მას“. მაგრამ აღარ იკითხავთ, რაში გამოიხ-ატებოდა ოტიასთვის მოულოდ-ნელი ბედნიერება! თურმე იმ-იტომ კი არ სცემდა მისი გული ძალზედ, რომ ცოლს რთავდ-ნენ, არა, იმის გამო უფართხ-ალებდა გული, რომ ქალაქე-ლი ქალის შერთვით საშუალე-ბა ეძლეოდა „გულის ჯავრი ამოელო ქველიძეზე“.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გაუცხოებული, სხ-ვის შესახედად მცხოვრები კაცის ფსიქიკიდან.

ქალაქელ საპატარძლოსთან საქმის კეთილად დაგვირ-გვინების შემდეგ, ოტია ასეთი თხოვნით მიმართავს თავის მაშ-ვალს, პორფირე ბიაშვილს:

„რომ გული მოვუკლა იმ ოხრისშვილსაც (სარდიონ ქველიძეს, ნ.გ.) და ზოგიერთებს სხვებსაც... თქვენთვის ეგ არაფერი იქნება, ჩემთვის კი ძვირად რადმე ეღირება, – იყოს ისე თქმულობად, ცარიელ სი-ტყვად, რომ ვითომც ბეგლარს დისთვის ხუთასი მანეთი მიეცეს მზითვად... ცარიელი სიტყვა ქვეყნის გასაგონად, თორემ ფულის თხოვას როგორ გა-ვუბედავ... ისიც არ კმარა ჩემს თავზე?! ქვეყნის გასაგონად ითქვას ოღონდ!“ ასე იტყვილე-ბენ და იბითურებენ თავს ად-ამიანები, ვითომდა მეზობლის გულის გასახეთქად. მე-ზობლებიც ამასვე სჩადიან და მიდის ასე ცხოვრება ერთმანე-თის ჯიბრით, ერთმანეთის კილ-ვით, შურით, ზვაობით.

უსიყვარულოდ, უმეზობ-ლოდ, უთანამდგომოდ ცხოვრე-ბა კი მარტოობის სუსხით ავსებს ადამიანთა სულებს და მათ ეკონომიურ გაჭირვებას ემატება მარტოობის უსასოო განცდა...

ეს ყოვლისმომცველი მარ-ტოობა იმთავითვე თვალშისა-ცემი გახდა ქალაქელი რძლისთვის. მწერალმა ერთგ-ვარ მხატვრულ ხერხს მიმარ-თა და უცხო ადამიანის თვალით შეგვახედა სოფელს. ზამთარში კერას მიფიცხებუ-ლი ადამიანები გასაცოდავ-ებულნი გამოიყურებიან ერთ-ფეროვნებისა და სიმარტოვის აუტანელ გარემოცვაში.

„დღეები მიიზლაზნებოდნენ, მიჰყვებოდნენ ერთმანეთს ერთ-ფეროვნად, განუსხვავებლად, გულის მომკვლელ მოსაწყენად-დილით ადრე ადგომა, ცეცხ-ლის დანთება. გასათბობად კე-რიასთან ჯდომა, ცოტა ხნის შემდეგ სადილის თადარიგი, სადილი, იქვე, როგორც შე-ბინდდებოდა, ვახშმის მზადე-ბა, ვახშამი და მაშინვე ძილი; მეორე დღესაც იგივე, მესამე-საც; ასე ატარებდნენ კვირეებს და თვეებსაც“.

ადამიანები ზამთარში თავ-თავიანთ „ბუნაგებში“ შეყუჟუ-ლან, რათა გამოზამთრების შემ-დეგ ისე დაეტაკონ მარჩენალ მიწას, მომავალ ზამთარშიც რომ ჰქონდეთ ცივი ჭადი და ლო-ბიო. სხვა ცხოვრება მათ არ გააჩნიათ, რადგან სიცოცხლეს, თუნდაც უსახსროსა და შეჭირვებულს, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული ალამა-ზებს და აკეთილშობილებს, სიყვარული კი ღატაკთა და მიუსაფართა ქვეყნიდან გაძევე-ბული და დასჯილია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №31,32

გაგრძელება იქნება

● საით მიდის საქართველო?

# „დგას საქართველო ამორძალივით"

## სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი

*პუბლიკაცია ეძღვნება რუსეთისადმი პროტესტის ნიშნად გაფიცულ პარლამენტის მოშიმშილე დეპუტატებს*

ვ.ბ.



ახალციხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტანი, კოლა, აჭარა, შავშეთი, ჭანეთი, კლარჯეთი, ტაოს კარი

### ცოტა რამ შესავლის სახით

რუსეთთან „შეერთებით" საქართველო, როგორც სახელმწიფო, სამეფო, ფაქტიურად მოისპო. ამიერიდან მის ტერიტორიაზე გამოიკვეთა ე.წ. ორი საქართველო, - რუსეთისა - გუბერნიების, ხოლო თურქეთისა - ვილაიათების სახით. ამ დაყოფით დაიწყო და დღესაც გრძელდება ორივე მხრიდან ქართველი ხალხის გადაგვარება - ასიმილაციის ტრაგიკული პროცესი. დამპყრობლები, თავიანთი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, დღესაც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ფიზიკურად და სულიერად საბოლოოდ მოსპონ ქართველი ხალხი, პირველ რიგში მისი ეროვნულობა. ამ მიზნით, თურქეთიც და რუსეთიც იყენებენ დამპყრობთა ცნობილ მეთოდებს, ცნობილ ხერხებს. ამ თვალსაზრისით ისინი ძალიან ჰგვანან კიდეც ერთმანეთს, - ერთიც და მეორეც მიმართავს დაპყრობილ ტერიტორიაზე თავიანთი ხალხის ჩასახლებას, ხშირად - კი იქ მაცხოვრებელ ბინადართა გასახლება-გადასახლებას. მაგალითისათვის: რუსეთმა საქართველოდან გაასახლა არამარტო ბაგრატიონთა და დიდგვაროვანთა ათასობით ოჯახი, არამედ ყველა სამხედრო მხედართმთავარი და მეომარიც ე.წ. მუხაჯირობით განდევნა თურქეთში (რა თქმა უნდა, ესეც ხდებოდა რუსეთის თურქეთთან მოლაპარაკების საფუძველზე) და მათ ადგილებზე მთელ კავკასიაში რუსთა და სხვა ხალხთა ჩამოსახლება-ჩათესლება, შავი და კასპიის ზღვების დაპყრობა და გაბატონება! გენერალ პასკევიჩის მხედართმთავრობით უძველესი მესხეთიდან ქართველ მუსლიმანთა თურქეთში გასახლება და მათ ადგილზე თურქეთიდან 30 ათას სომეხთა ჩამოსახლება? ესენი ის სომხებია, რომლებიც, ასევე რუსეთის კარნახით, დაუსრულებლად მოითხოვენ ჯავახეთის („ჯავახკის") ავტონომიას და სომხეთთან შეერთებას. დიახ, სომხების და სომხეთის ყველა ეს პრეტენზიები არამარტო საქართველოში, ნაკარნახევია რუსეთის, - მათი მფარველის მიერ, მფარველისა, რომელიც სომხებს კავკასიაშიც და თურქეთშიც სთვლიან თავიანთ მთავარ საყრდენ ძალად. ეს კარგად იციან თურქეთმა და, საერთოდ, კავკასიით დაინტერესებულმა აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქვეყნებმა. რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებთან იყო დაკავშირებული 1944 წელს კავკასიიდან მუსლიმანთა და სხვათა გასახლებაც შუა აზიაში. ეს პროცესი შეეხო საქართველოსაც, როცა აქედან გაასახლეს ერთ დროს თურქეთის მიერ „გამოდევნილი" თურქები, თარაქმები, ქურთები და ზედ მიაყოლეს ადგილობრივი გათურქებული ქართველებიც, ე.წ. „თურქი მესხები", რომლებიც, თურქეთის კარნახით, სომხების მსგავსად, ითხოვენ თავიანთ მხარეში დაბრუნებას, ავტონომიას და თურქეთთან შეერთებას. ვერც გაამტყუნებთ, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები თუ ეპატრონებიან. სხვათა შორის, თურქეთში 1914 წელს სომხების ფიზიკური მოსპობაც რუსეთის წყალობა იყო. მათ იქ სომხებს მოათხოვინეს ავტონომია და ტერიტორიულად სომხეთზე შეერთება. რუსეთისავე რეჟისურით იყო მოწყობილი, როცა იქიდან გამოქცეული სომხები „არ მიიღო" მშობლიურმა სომხეთმა და ისინიც შეეკედლნენ, - ჩაესახლნენ ბათუმში, შავიზღვისპირეთში და ახალციხის მაზრაში. ამით რა მიზანს ისახავდა რუსეთი, ეს თვალნათლივ დაგვანახა ბაგრამიანის სახელობის პირსისხლიანმა შენაერთებმა აფხაზეთის ტრაგედიის ჟამს! ამავე მიზანს ისახავს რუსეთის მიერ საომრად გამზადებული ჯავახეთის სომხური „არმია". მათ ავიწყდებათ, თუ რა ძვირად დაუჯდებათ „ახალი ყარაბაღი", როცა რუსეთი საბოლოოდ დასტოვებს კავკასიას. ესეც ისტორიული გარდუვალობაა! დიახ, ეს უნდა გაითვალისწინოს რუსეთის უმთავრესმა საყრდენმა, სომხეთმა და მისმა ხალხმა. რუსეთისათვის სომხეთი ამჟამადაც წარმოადგენს თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო საყრდენს. აქაა კონცენტრირებული საბრძოლო ბაზები. აგერ, ახლახანს, 13 მარტს, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა იროდიონოვმა კვლავ მიაწოდა სომხეთს 270 მილიარდი რუბლის საბრძოლო შეიარაღება, რის გამოც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ალიევმა საპროტესტო ნოტაც კი გაუგზავნა რუსეთს (გაზ. „იბერია-სპექტრი", 14-20 მარტი, 1997 წ.)

გავიმეოროთ: ის, რაც ამჟამად ხდება კავკასიაში, - ეს რუსეთისა და თურქეთის ინტერესთა შეჯახების შედეგია და საქართველოში მაცხოვრებელმა არაქართველმა მოსახლეობამ (სომხებმა, რუსებმა, აზერბაიჯანელებმა, ოსებმა და აფხაზებმა) ხელი უნდა აიღოს დამპყრობთა კარნახით დაუსრულებელ პრეტენზიებზე ქართული ტერიტორიების მიერთება - მითვისების თაობაზე, თორემ ყველაფერს გააჩნია ზომა და საზღვარი!..

ისინი, სანამ გვიან არ არის, უნდა ხედავდნენ, რომ მთავრდება ახალი კართაგენის, - რუსეთის პარპაში არამარტო კავკასიის მიწა-წყალზე; რომ მისი აქედან წასვლით დაიწყება ე.წ. „ახალი ერა" ჩვენი ხალხების ისტორიაში, ერა ნამდვილად მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობისა...

დავუბრუნდეთ ტაო-კლარჯეთს. ისტორიული სინამდვილეა, რომ ეს მხარე აყვავდა არაბთა ბატონობის პერიოდში. ამაზე მიგვანიშნებს ძველ ქართულ ტერიტორიაზე დღესაც ამაყად მდგარი: ხანძთა, ოპიზა, პარხალი, ოშკი, ოთხთა ეკლესია, ხახული, იშხანი, ბანა... (იხ.თანდართული სურათი). სამწუხაროდ, არაფერი მათი მსგავსი არ აშენებულა რუსეთის ბატონობის ორსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. პირიქით, კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში, ალვირახსნილი წითელი ათეიზმის წყალობით, ფაქტიურად პირისაგან მიწისა აღიგავა ქრისტიანობაც და მისი მღაღადებელი ათასობით ეკლესია-მონასტერი, - ქართველთა მოსკოვის დონის მონასტრიდან დაწყებული, გელათის, გარეჯისვანის ქვაბთა და ვარძიით დამთავრებული. აქვე შეიძლებოდა გაგვეხსენებია ისიც, თუ როგორ სპობდა საბჭოთა რუსეთი დაპყრობილ ქვეყნებში, როგორც სასულიერო, ისე საერო პირებს, განსაკუთრებით კი ეროვნულ ინტელიგენციას (გავიხსენოთ ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლების შემზარავი ტრაგედიები). იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებში ათეულ მილიონობით მსხვერპლი? კატორღები და გადასახლებანი?!

დიახ, ძველი მესხეთის გულში, როგორც ჩვენი ეპოქის დიდებული მეცნიერი და საეკლესიო მოღვაწე აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ბრძანებს, სწორედ არაბობის პერიოდში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის უბრწყინვალესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერები. „აქ ჩამოყალიბდა საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი, მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავისი კალაპოტიდან, ფართო ნაკადად გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე..." (კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 97).

სწორედ ტაო-კლარჯეთში გაიფურჩქნა ქართული საეკლესიო მწერლობა, ფილოლოგია, თეოლოგია, მუსიკა, ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, ოქრომჭედლობა, ფერწერა, ხუროთმოძღვრება.

გამოჩენილ მოღვაწეთაგან, ვინც დიდი ღვაწლი დასდო ქართული სულიერი კულტურის ამაღლებას, იყვნენ: გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, მიქელ მოდრეკილი (შემდგენელი ქართული საგალობლებისა), გიორგი მერჩულე, - მწერალი და ისტორიკოსი, საგალობელთა მწერელი - იოანე მტბევარი, პოეტი და ისტორიკოსი - სტეფანე მტბევარ-ჭყონდიდელი, პოეტები - იოანე მინჩხი, იოანე ქორქოზის ძე, ეზრა, ისტორიკოსები - არსენ კათოლიკოსი, ბასილ ზარზმელი, იოანე და გიორგი ხახულელნი და მრავალი სხვა დიდებულნი (ოპიზარნი, ხანძთელნი, შატბერდელნი, პარეხელნი, ანჩელნი, იშხანელნი, ტბელნი და ა.შ.).

ამათგან ქართველი ერი ყოველთვის განსაკუთრებით დიდი პატივითა და მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს უდიდეს მწიგნობარსა და მოღვაწეს, ღვთისმოსავ ბრძენ ფილოსოფოსს გრიგოლ ხანძთელს, რომლის „სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი" (მან იცოცხლა 102 წელი, გარდაიცვალა 861 წელს).

ამ დიდებულზე დიდებულ ადამიანზე, მისი გარდაცვალებიდან 90 წლისთავზე, უბრწყინვალესი „ცხოვრება" დაწერა ხანძთის მონასტრის გამოჩენილმა მოძღვარმა, დიდმა თეოლოგმა და ისტორიკოსმა გიორგი მერჩულემ, - „შრომაი და მოღვაწებაი ღირსად ცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაი, და მისთანა მრავალთა მამათა ნეტართაი".

ამ ნაწარმოებს ღირსებას ისიც მატებს, რომ აქ აღწერილია ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სხვა პირთა „ცხოვრებაც". „ამის გამო, - წერს ივ.ჯავახიშვილი, - ამ თხზულებაში ჩვენ ხელთა გვაქვს კლარჯეთის თითქმის ყველა მონასტრის დამფუძნებელთა და აღმაშენებელთა, წინამძღვართა და მოღვაწეთა თავგადასავალი და ცხოვრება. ხოლო რაკი სამონასტრო „მოქალაქობა" ამ მხარეში პირველად გრიგოლმა დაამყარა და მონასტერთა დაფუძნებას კლარჯეთისა, შავშეთისა და ტაოს დასახლება და აშენება მოჰყვა, ამიტომ გიორგი მერჩულის თხზულებაში ჩვენ შეგვიძლია ამ სამონასტრო მოძრაობის ისტორია, თვისება და რაოდენობა, მისი ღირსება და შედეგი შევისწავლოთ დასაწყისიდან მოყოლებული" (თხზ. VIII, გვ. 12).

როგორც თავის დროზე აკ.თაყაიშვილმა მიუთითა („1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში", თბ.1960), ამავე სახელწოდების სოფელ ოშკში ცხოვრობენ გამაჰმადიანებული ქართველები (მესხნი) და მათ ასეთი ხატოვანი გამოთქმაც აქვთ შემორჩენილი (ამას ისინი თურქულად წარმოთქვამენ): „საქებარია სილამაზე ოშკის ტაძრისა, ადგილმდებარეობა ხახულისა, მხატვრობა იშხანისა და წყალი პარხალისაო".

ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის 14 ათასი გამაჰმადიანებული ქართველი (მესხი) ცხოვრობდა ამ დასახლებაში. 1917 წელს, ექსპედიციის დროს, ჩვენი ქვეყნის ეს დიდებული ლავრა მეჩეთად იყო ქცეული.

წყაროებითა და წყლით განთქმულმა პარხლის მონასტერმაც საერთო ბედი გაიზიარა. მაჰმადიანთა მომძლავრების შედეგად შეწყვიტა მოღვაწეობა, მეჩეთად იქცა და დღესაც, მდინარე პარხლისწყლის ხეობის პონტოს (ლაზისტანის) მთაგრეხილის აღმოსავლეთიდან ამაყად გადმოგვყურებს მრავლისმთქმელი ნაშთი ქართველთა ძველი დიდებისა...

ტაო-კლარჯეთის ტაძრებიდან ასევე ქართული კულტურის დიდ შუქურად წარმოგვიდგება ოლთისის წყლის მარჯვენა მხარეს აღმართული დიდებული ტაძარი - ბანა.

ეს იყო მეფეთა სამყოფი ადგილი და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ცენტრიც, ზოგჯერ მეფეთა კურთხევის ადგილიც (ბაგრატ IV) და მათი საკრძალავიც (აქაა დასაფლავებული ვახტანგ IV და მისი მეუღლე სითიხათუნი). აკად. გ.ჩუბინაშვილის აზრით, ბანა VII საუკუნეშია აგებული და რესტავრირებულია IX-X სს. მიჯნაზე („ქართული ხელოვნების ისტორია", I გვ. 169-178).

„მთელს აღმოსავლეთში, მხოლოდ კონსტანტინოპოლის გამოკლებით (იგულისხმება აია სოფიას ტაძარი, - ვ.ბ.), რაც კი მინახავს, უეჭველად ეს ყველაზე ულამაზესია და უმშვენიერესი". ასე შეაფასა ბანას ტაძარი 1843 წელს ცნობილმა ბოტანიკოსმა კოხმა („რაისე ინ პონტიშენ ზებირგ", II, ვაიმარი, 1846, გვ. 243-248).

რამდენი რამის მთქმელია, თუნდაც ტბეთის მშვენიერი მონასტერი. იგი წარმოადგენს, ასევე, ქართული არქიტექტურის კლასიკურ ნიმუშს, საქრისტიანოს დიდებულ სავანეს, ქართული ლიტერატურის იშვიათ კერას (სხვა წიგნებთა შორის აქ დაიწერა სტეფანე მტბევარის თხზულება: „წამებაი წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყუელის ციხით").

როცა გ.ყაზბეგმა გავლილი საუკუნის დამლევს იხილა ტბეთის მონასტერი, სრულიად გადაუჭარბებლად შეაფასა იგი, როცა თქვა: ეს დიდებული ძეგლი რომსაც დაამშვენებდაო (იხ. მისი „ტრი მესიაცა ვ ტურეცკოი გრუზიი", 1876).

„ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლის", „ორთა მათ დიდებულთა მონასტერთაის" მამა და წინამძღვარი გრიგოლ ხანძთელი კიდევ იმითაცაა უკვდავი, რომ მის მიერ დაარსებულ კერებში შეიქმნა ქართული კულტურის ისეთი შედევრები, როგორიცაა მსოფლიოში აღიარებული შატბერდის კრებული, ადიშის, ჯრუჭის, პარხალის დიდებული სახარებანი. ამავე ტაძრებთანაა დაკავშირებული 978 წლის ძველი აღთქმის უძვირფასესი ქართული ხელნაწერი, რომელიც გადაიწერა „ლავრასა შინა დიდსა ოშკსა", ათონის მთაზე ბერად აღკვეცილი ცნობილი ქართველი მხედართმთავრის თორნიკე (იოანე) ერისთავის დაკვეთით. ოპიზის მონასტერთანაა დაკავშირებული ბექა და ბეშქენ ოპიზართა ოქრომჭედლობის უბადლო ქმნილებანი, - ბეშქენის მოჭედილი ბერთის სახარება და ბექას - ანჩის ხატის ჭედურობა. „ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა, - ვკითხულობთ ანჩის ხატის წარწერაში - ღმრთივგვირგვინოსანისა დიდისა დედოფლთ-დედოფლისა თამარისათა მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჭედვად" (თ.ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 293). ეს წარწერა ეკუთვნის ანჩის მთავარეპისკოპოს იოანეს (ანჩის ხატი, კლარჯეთის მთელი სამწყსოს სიმბოლო, ამჟამად თბილისშია).

ქართველთა ამ ქრისტიანული კერების ასეთმა მოღვაწეობამ და საქმიანობამ დიდი სახელი და ავტორიტეტი შეუქმნა საქართველოს საპატრიარქოს, ქართველ მეფე-მთავრებს (მარტო დავით აღმაშენებლის, თამარისა და მათ სახელოვან წინაპარ კურაპალატთა დასახელებაც საკმარისია), რომელთა უშუალო დახმარებითა და ხელმძღვანელობით იქმნებოდა ეს დიდებული სავანეები.

სწორედ ამიტომ იქცა საქართველო ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის დამცველ მთავარ ქვეყნად, და სწორედ ამიტომაც, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ქარქაში ჩაუგებლად იქნევდა თავის სახელოვან ხმალს ქართველი ხალხი, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის, ისე ქრისტიანობის გადარჩენისათვის. ამავე სულისკვეთებამ მოიყვანა საქართველო დღევანდლამდე!!!

**ვახტანგ ბურბენიძე**

---

### „ხალხის არჩეულ მთავრობას ხალხის არ უნდა ეშინოდეს"

საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ი.წერეთელმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ შეწყვიტა შიმშილობა, რაც საქართველოს პარლამენტის მიერ მისი მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილებით და პარლამენტის სახალხო ფრაქციის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის მიღებით ახსნა. პარლამენტის მიერ ამ კონცეფციის მიღებას ი.წერეთელმა იდეურ-პოლიტიკური შემობრუნება უწოდა. პარტიის ლიდერს დაგეგმილი აქვს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონცეფციის შემუშავებაში. მისი აზრით, საზოგადოების პოლიტიკურმა ზეწოლამ თავისი შედეგი გამოიღო.

პარტიის ლიდერმა 3 აპრილს, მიტინგებთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან გამოწვეულ აჟიოტაჟს, გაუმართლებელი უწოდა და აღნიშნა, რომ მიტინგების ჩატარება არანაირ დესტაბილიზაციას არ გამოიწვევს. „მიტ-



ინგების აკრძალვით ხელისუფლება შორს ვერ წავა, რადგან ხალხი ისედაც აღშფოთებულია სოციალური პრობლემებით. ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას ხალხის არ უნდა ეშინოდეს", - განაცხადა ი.წერეთელმა. მისივე თქმით, ის კონსტრუქციული ურთიერთობა, რომელიც პარლამენტსა და არასაპარლამენტო პარტიებს შორის დაიწყო, უნდა გაგრძელდეს. პარტიის ლიდერმა მოუწოდა პარლამენტს, 9 აპრილს დაგეგმილი მიტინგი ერთობლივად ჩაატარონ. (იფრინდა)

### სალარიძე მხარს უჭერს მაშიაშვილს

საგადასახადო სამსახურის პრეს-ცენტრის ცნობით, საგადასახადო სამსახურის უფროსს დ.სალარიძეს მიაჩნია, რომ ქუთაისის მერის მიერ გატარებული ღონისძიებები მთელს რესპუბლიკაში უნდა გატარდეს. მისი თქმით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბაზრობის დახლებზე საქონელი კონტრაბანდისტული გზებით ხვდება და ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე იყიდება, რაც დაადასტურა კიდეც საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ თბილისის აეროპორტში ჩატარებულმა ერთობლივმა ღონისძიებამ. მარტო ერთი რეისით ჩამოტანილი ტვირთის ღირებულება 350 ათას ლარს აღემატებოდა, მაშინ როდესაც აღნიშნული კომერციული ტვირთის ღირებულებისა და შეძენის დამადასტურებელ საბუთში თანხა გაფორმებული იყო 26950 დოლარად: 90 ცალი ელექტროგენერატორი, 170 ვიდეომაგნიტოფონი, 100 ცალზე მეტი ტელევიზორი. ძვირადღირებული მაცივრები და სხვა დასახელების ტვირთი ჩამოტანილი იყო 35 ფიზიკური პირის მიერ. აღნიშნული საქონელი ძირითადად ბაზრობებზე დაბეგვრის გარეშე იყიდება. საგადასახადო სამსახურის უფროსს ასევე მიაჩნია, რომ ბაზრობებზე წესრიგის დამყარებისას არ უნდა დაზარალდეს მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც აქ ვაჭრობით ირჩენს თავს. მათ უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომ გადასახადები, რომლებსაც ისინი ბაზრობის დირექტორებსა და სხვადასხვა პირებს უხდიან, პირდაპირ ბიუჯეტში შევიდეს. დ.სალარიძის თქმით, ბაზრობებზე წესრიგის დამყარებისას საგადასახადო ინსპექციებიც სცოდავენ. არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს, არ ავლენენ იმ „მსხვილ" გადამხდელებს, რომელთა ხელშიც გადის ბაზრობებიდან შემოსული თანხების დიდი რაოდენობა. სწორედ ამის გამო, საგადასახადო სამსახურში მიმდინარეობს სერიოზული საკადრო ცვლილებები. (იფრინდა)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23-26-83

იყიდება 44 კვ.მ ფართის ოთახნახევრიანი ბინა, თავისი სათავსოებით, ჰოველიძის (ყოფილი ბელინსკის) ქუჩაზე, 1 სართული, ტელეფონით, მანქანის სადგომით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 98-95-20

იყიდება აგარაკი მუხათწყაროში, 2 სართულიანი კაპიტალური სახლი მანსარდით და ბუხრით, ყველანაირი სათავსოთი, 5 ტონიანი აუზით, 700 კვ.მ ნაკვეთით. მსხმოიარე ხეხილით და ტალავერით. შემოღობილია კაპიტალურად. საწყისი ფასი 10000 ლარი ტელ. 30-31-13 ნანა

იყიდება სოფ.უჯარმასთან (ტბასთან ახლოს) აგარაკი, 2 სართულიანი კაპიტალური სახლი 10X8, გარშემო დახურული აივნით, ავეჯით და სამშენებლო მასალით. 1000 კვ.მ ყველანაირი მსხმოიარე ხეხილით, დიდი ტალავერით, 7 ტონიანი აუზით. წყალი და შუქი მუდმივად. საწყისი ფასი 8000 ლარი. ტელ. 30-12-41; 30-23-18 მზია

იყიდება 5 ოთახიანი მშვენიერი ბინა, ორი აბაზანა-ტუალეტით, დამხმარე სათავსოებით, დიდი აივნებით. ფართი 170 კვ.მ, VIII სართული (უკვე აშენებული). სახლი 10 სართულიანი, ერთ წელიწადში დაიხურება. ფასი შეთანხმებით. მის. ზაქარიაძის ქ.№8 (მეტრო „გოცირიძესთან") ტელ. 38-96-17

იყიდება იზოლირებული კეთილმოწყობილი ერთსართულიანი სახლი ზესტაფონში ოთხი ოთახით, აქვს სარდაფი, მარანი, სასიმინდე, ვენახი. ფასი 8500 ლარი მის. ზესტაფონი, ზედასაქარა, ტელ. ზესტაფონში 5-53-53; თბილისი 96-24-14

იყიდება ბათუმში 4 ოთახიანი, მაღალჭერიანი, კეთილმოწყობილი, არასტანდარტული ბინა. მისამართი: მემედ აბაშიძის გამზირი №5, ბინა 7. ფასი შეთანხმებით. იკითხეთ კოკა საყვარელიძე. ტელ. ბათუმში 7-34-62; თბილისში 96-24-14

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა დიდუბეში. 2 ოთახი კაპიტალური მიშენებით. საერთო ფართი 120 კვ.მ, 6 სართულიანის II სართულზე. ჭერის სიმაღლე 3.25, სარდაფით, მანქანის სადგომით. მუდმივი დენით და ტელეფონით. ცხელი წყლით. საწყისი ფასი 40000 დოლარი. ტელ. 34-05-36

იყიდება 4 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში; რემონტით, სარდაფით, ტელეფონით, ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

მაქვს 1200 კვმ მიწის ნაკვეთი. ვეძებ ადამიანს, რომელიც ამიშენებს სანახევროდ ბინას. შეიძლება ამ ნაკვეთის მთლიანად გაყიდვა. საწყისი ფასი 12000 ლარი. ტელ. 36-27-68; 95-33-42 (8 საათის შემდეგ)

იყიდება 5 ოთახიანი იზოლირებული ბინა, ხუთსართულიანის მე-2 სართულზე. საცხოვრებელი ფართი 120 კვ.მ, 7 კვ.მ ჰოლი, 12 კვ.მ სამზარეულო. რკინის კარებით, ჭერის სიმაღლე 3,5, ამასთან ერთად არის ერთი ოთახი პირველ სართულზე. საკუჭნაო და ავტოფარეხი. საწყისი ფასი 30000 დოლარი. ტელ. 96-65-75

იყიდება დუშეთის რ-ნის სოფ. ჰოპორტში სააგარაკო ორსართულიანი დაუმთავრებელი სახლი 100 კვ.მ მიწის ნაკვეთით, შემოღობილია, 10 წლიანი მსხმოიარე ხეხილითა და ვენახის ტალავერით. არის ელექტროობა, წყალი, გაზი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 34-46-11 პავლე ან ლია

იყიდება 4 ოთახიანი სარემონტო ბინა ფალიაშვილის ქუჩაზე. 6 სართულიანის II სართულზე. 2 ტელეფონით, 4 სარდაფით. 2 მანქანის სადგომით და 2 სათავსოთი. ფასი 78000 დოლარი. ტელ. 23-13-86

იყიდება ორსართულიანი სახლი მანსარდით. სახლს აქვს 300 კვ.მ ფართობის ეზო, მრავალნაირი ხეხილით, გარაჟი, დამხმარე სათავსოები, ავტონომიური გათბობა და ცხელი წყალი, ტელეფონი. მისამართი: მაღაროს ქ.№24 (ნაძალადევის რ-ნის სამხედრო კომისარიატის უკან). ტელ. 66-99-46 ქეთინო (საღამოს საათებში); საწყისი ფასი 24000$

იყიდება 2 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, ორთაჭალაში, კრწანისის ქ. №7, 9 სართულიანის მე-7 სართულზე. ფასი 25000 დოლარი. ტელ. 72-07-81 ნანული.

იყიდება კოჯორში ბელეტაჟზე 3 ოთახიანი ბინა თავისი ეზოთი. საწყისი ფასი 18000 დოლარი. ტელ. 36-27-68 (8 სთ-ის შემდეგ), 95-33-42

იყიდება კერძო სახლი, ეზოში რამოდენიმე ოთახით, ხეხილის ბაღით. სულ 700 კვ.მ, გაიყიდება 350 კვ.მ სახლის ასაშენებლად. მეტრო „300 არაგველებთან". პირველი დოლაბაურის ქ. №1, ფასი შეთანხმებით. ტელ. 74-45-87

იყიდება ორსართულიანი აგარაკი ლისის ტბის მახლობლად. ხეხილის ბაღით. სახლში ჩასატარებელია მცირე სამუშაოები. ფასი შეთანხმებით. ტელ. 31-26-68 რეზო

იყიდება ერთოთახიანი ბინა ვაჟაფშაველას მე-6 კვარტალში, კორპ. 16, ბინა 32. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-02-97 იზო

იცვლება ან იყიდება სურამიდან აგარაკი ერთ ოთახიან ბინაზე თბილისში. 2 ოთახიანი ხის სახლი ვერანდით, ბელეტაჟზე, სარდაფით, მიწის ნაკვეთით, ხეხილის ბაღით, ხეივნებით. წყაროს წყლით. მისამართი: სურამი, სოფ. ზეკოტა. ანიკო გელაშვილი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 51-43-57

## სხვადასხვა

იყიდება სადილის სერვისი (გერმანული) თეთრი კობალტის. ექსკავაციანი. სულ არის 36 ნაჭერი. ფასი 500 დოლარი. ტელ. 66-06-96

იყიდება ანტიკვარული სტილის არაბული წარმოების დივანი და ორი სავარძელი მუქ ფერებში. ფასი 950 დოლარი. ტელ. 61-25-48 ან 61-11-39

იყიდება არაბული ჭაღი, 18 სანთლიანი, სამსართულიანი. ფასი-500 დოლარი. ტელ. 66-06-96

იყიდება ახალი საძინებელი, სამზარეულო და სამეული. ფასი შეთანხმებით. ტელ. 63-36-16

იყიდება რუსეთის საქსოვი მანქანა „ნევა-2", კარგ მდგომარეობაში. ფასი 230 ლარი. ტელ. 31-64-40 მაია

ვუსწორებთ მეტყველებას ენაჩლუნგ და ენაბლუ ბავშვებსა და მოზარდებს. ვმუშაობ აფაზიკებსა და ალალიკებთან მეტყველების აღსადგენად ბინაზე მისვლით. ტელ. 51-25-98

იყიდება კაფელი ორი ფერის - ცისფერი და ყვითელი. ტელ. 37-50-00

იყიდება ავეჯი 710, სასადილო-სასტუმრო, აქვს ოვალური მაგიდა, რვა რბილი სკამი, სამეული, ვიტრინა და დესაო. ფასი შეთანხმებით ტელ. 39-84-21

იყიდება ახალი პიანინო „ბელორუსი", ფასი 360 დოლარი. ტელ. 60-36-29

იყიდება გერმანული წარმოების ძველებური საკერავი მანქანა „ზინგერი". ფასი 100 დოლარი. ტელ. 31-33-27 ნუნუ

იყიდება ფეხის საკერავი მანქანა „ჩაიკა 142" ელექტრომოტორით. ფასი 150 ლარი ტელ. 39-09-92

ვისაც სურს ფორტეპიანოს აწყობა ან რესტავრაცია, დარეკეთ ტელეფონზე 61-70-06

ვყიდი ვიეტნამური შალის ხალიჩას, ზომა 2,5X3,5 ფასი 900 ლარი ტელ. 39-09-92

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 64-76-77 მაიკო

იყიდება ჩეხური სამზარეულო „დარინდა", შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-66-30 მამუკა.

დენის გენერატორი დიზელზე 28 კვმ 380 ვოლტი. ფასი 2600 ლარი.

ქათმების შესაწველი აპარატი „გრილი", საათში 20 ქათამი. ფასი 400 ლარი.

საბეჭდი მანქანა ქართული შრიფტით. პატარა, ახალი. ფასი 150 ლარი.

ყინულის გასაკეთებელი აპარატი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 35-33-78 ომარი

ვისაც სურს ფორტეპიანოს აწყობა ან რესტავრაცია, დარეკეთ ტელეფონზე: 61-70-06.

## ქირავდება

ქირავდება ერთოთახიანი ბინა II სართულზე ავეჯით, მაცივრით, ტელეფონით. ჩაიკოვსკის ქუჩაზე, მეტრო „თავისუფლების მოედანთან" ახლოს. ტელ. 93-15-94

ქირავდება ვერაზე მელიქიშვილის 23, I სართ. 2 ოთახი ქუჩის პირას ოფისისათვის ან მაღაზიისათვის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-52-54 მაია


საბერძნეთში
დასასვენებლად
ვიწვევთ
ტურისტებს
შეღავათიან
ფასებში.
ტელ. 23-07-20;
29-40-32,
საღამოს 99-88-18


### ყურადღება!

თუ ვინმე მუშაობდა სიღნაღის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს (წითელწყაროს), ყვარელისა და ველისციხის სახელმწიფო თეატრებში ან გააჩნია ამ თეატრების ირგვლივ რაიმე მასალა ან ცნობა, გთხოვთ დაუკავშირდეთ ქალბატონ მარგარიტა გოგოლაშვილს კულტურის სამინისტროში. ტელ. 99-03-06; 22-71-64 (საღამოს).


კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია ძლიერი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე). გვაქვს ავტონომიური დენის წყარო.
მობრძანდით მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.
მის: პუშკინის ქუჩა №5 მეორე სართ, ოთახი 207
ტელ: 93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე.

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!



განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი**: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ფაქსი: 29-49-61

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს
დაგვირეკეთ ყოველდღე:
93-18-41


# ჰოროსკოპი
## 5-6-7 აპრილი

**ვერძი** - დღეს უფერული დღეა, მაგრამ ნაღველს ნუ მიეცემით; ხვალ და ზეგაც ნუ გადაიტვირთავთ თავს, გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**კურო** - დღეს ისიამოვნეთ საზოგადოებაში, გაერთეთ, იცეკვეთ და იმხიარულეთ. ხვალ სერიოზულად მიუდექით საქმიან საუბრებს, მოლაპარაკებებს, რომლებიც შეიძლება არასაქმიან გარემოში მიმდინარეობდეს; ზეგ დაისვენეთ, ორშაბათი მძიმე დღეა და თავს ნუ გადაიტვირთავთ.

**ტყუპები** - დღეს გელით წარმატება, რომელიც ხვალაც არ მიიბრუნებს თქვენგან პირს. ზეგ კი თქვენი შრომისუნარიანობა ზენიტს მიაღწევს და ნუ გაუშვებთ ხელიდან ასეთ შანსს, წარმატებით შეგიძლიათ გადაწყვიტოთ უკვე დიდი ხნის გადადებული საქმეები.

**კიბო** - დღევანდელ დღეს და ხვალ უფერული დღეები გექნებათ, ზეგ კი ჯანმრთელობას მიხედეთ, მომავალ კვირაში მოგიწევთ მომქანცველი საქმიანი საუბრები.

**ლომი** - დღეს და ხვალ ბედნიერი დღეები გელით, ზეგ კი შეიძლება მოგზაურობამაც მოგიწიოთ.

**ქალწული** - დღეს ჩვეულებრივად გაატარებთ, მაგრამ წინა კვირის დაძაბულობამ შეიძლება მომდევნო ორ დღეს სერიოზულად დაგაფიქროთ ჯანმრთელობაზე.

**სასწორი** - წინა კვირის წრეგადასული სიხარული და ბედნიერება სასურველ არსებასთან ერთად ცოტა გადაგღლით. მთავარია, არ იჩხუბოთ და ყველა სიტყვის აწონ-დაწონას თავი დაანებოთ.

**ღრიანკალი** - მთელი კვირის დაძაბულობის შემდეგ მიმართეთ აქტიურ დასვენებას, წადით ქალაქგარეთ, გაისეირნეთ ბუნების წიაღში, ოღონდ კვირას ქეიფს ნუ გადაყვებით, რომ მომდევნო დღეებში ავად არ გახდეთ.

**მშვილდოსანი** - დღეს ბედნიერების დღე გაქვთ. ხვალ და ზეგ კი თქვენს მეგობრებთან ერთად გაემგზავრეთ ქალაქგარეთ, სადაც მხიარულად დაისვენებთ.

**თხის რქა** - მთელი დღის საქმიანი საუბრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ, სჯობს, მომდევნო ორი დღე დაისვენოთ და ჯანმრთელობას მიხედოთ.

**მერწყული** - დღევანდელი წარმატებული და ბედნიერი დღის შემდეგ კვირას სამუშაოს ჩაუჯექით, რადგან ორშაბათს საქმიანი საუბარი გელით, რომელიც თქვენს მომავალ კარიერას განსაზღვრავს.

**თევზები** - წინა კვირის აქტიური ცხოვრება თავს იჩენს და მომდევნო დღეებში მიხედეთ თქვენს ჯანმრთელობას.

# ლატარეა ყველასათვის

## 4 აპრილს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – №142173;
1000 ლარი – №528322;
900 ლარი – №749059;
800 ლარი – №618525;
700 ლარი – №199465;
600 ლარი – №719910;
500 ლარი – №518215;
400 ლარი – №235719;
300 ლარი – №602321;
200 ლარი – №436687;
100 ლარი – №307326;
90 ლარი – *73211;
80 ლარი – *14032;
70 ლარი – *74409;
60 ლარი – *87311;
50 ლარი – *76170;
40 ლარი – *31160;
30 ლარი – *21301;
25 ლარი – *14066;
20 ლარი – *36052;
10 ლარი – ***127;
10 ლარი – ***694;
10 ლარი – ***202;
10 ლარი – ***874;
10 ლარი – ***333.

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეცამეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XIII ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **6315** გათამაშებაზე შეუძლიათ 11 აპრილს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **ვაზ-2106** მოიგო ლატარიის ბილეთმა **№316945.** მინი-ტრაქტორი მოიგო ლატარიის ბილეთმა **№737952**

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## კ

კოხაძე – 26 (თბილისი – 10; წალკა – 6; ხობი – 4);

კროპაძე – 27 (თბილისი – 11; ქარელი – 10; თეთრიწყარო – 1);

კუაცაშვილი –48 (გურჯაანი – 39; თბილისი – 9);

კუბიაშვილი – 26 (თბილისი – 14; გორი – 7; კასპი– 2);

კუბულაშვილი –49 (აბაშა – 11; ზესტაფონი – 10; თბილისი – 9);

კუბუსიძე – 49 (ოზურგეთი – 45; ბათუმი – 1; აბაშა – 1);

კუდიანაშვილი– 29 (ახმეტა – 3; თბილისი – 3; დედოფლისწყარო – 1);

კუკარაძე – 28 (ბათუმი – 14; ხელვაჩაური – 14);

კუკუჯანაშვილი – 40 (თელავი – 15; თბილისი– 13; გურჯაანი – 9);

კულალაშვილი – 40 (ახმეტა – 24; თიანეთი – 6; ოზურგეთი – 5);

კულალაშვილი – 25 (ახმეტა – 11; გარდაბანი – 11; თელავი – 1);

კულატამიშვილი– 29 (რუსთავი– 10; გარდაბანი – 4; ყვარელი – 15);

კუმლაძე– 40 (თბილისი – 10; გორი – 1; კასპი – 29);

კუპრიაშვილი – 26 (გორი – 12; გარდაბანი – 5; თბილისი – 5);

კურეტიშვილი – 34 (დედოფლისწყარო – 14; თიანეთი – 12; სამტრედია – 3);

კურკაციშვილი– 29 (თბილისი– 14; გურჯაანი – 3; საგარეჯო – 12);

კუროშვილი – 32 (თბილისი – 6; ყვარელი– 26);

კუტუაძე – 37 (გარდაბანი – 28; თბილისი – 9);

კუხალიშვილი – 21 (თბილისი – 5; ქუთაისი – 5; მარტვილი –4);

კუხელაშვილი – 27 (ზუგდიდი – 5; თბილისი– 4; წალენჯიხა– 3).

# წუთშესვენება. იუმორის კუთხე

## ჩვენი სტუმარია გურანდა გაბუნია

# სიცილი აკრძალულია

ალბათ, იცით, თუ როგორი მომენტია მსახიობისათვის, როცა რაღაცა კურიოზი ხდება სცენაზე, გეცინება და ამ დროს არაფრით არ შეიძლება სიცილი. მახსოვს დიურემანტის „რომულუს დიდში“ მე და ოთარი მეფე-დედოფალს ვთამაშობდით. პიესაში იყო ასეთი მომენტი, სახელმწიფო გასაჭირშია და მეფე გადაწყვეტს ყველაფერი გაყიდოს. ამ დროს მოდის კომეოიაჟერი და ყიდულობს მეფისაგან ქანდაკებებს. კომეოიაჟერს თამაშობდა მსახიობი ქოჩორაძე, რომელსაც როლი საინტერესოდ ჰქონდა გადაწყვეტილი და სასაცილო პერსონაჟი იყო. ერთ-ერთ სცენაში შემოდის იგი, ადგამს კიბეს ხან ერთ სვეტს, ხან მეორეს და ლუპით სინჯავს ბიუსტს, რადგან უნდა გადაწყვიტოს, იყიდოს თუ არა ეს ბიუსტი. მეფე-დედოფალი ამ დროს საუბრობენ და ვითომ არ აინტერესებთ იყიდის თუ არა ეს კაცი ქანდაკებას. სწორედ ამ დიალოგის დროს მესმის საშინელი ბრახუნის ხმა, და რას ვხედავ? კიბე გადმოვარდნილა, ქოჩორაძე გდია ძირს, ჩახუტებულია ბიუსტის თავს და ათვალიერებს დიდი ლუპით. მან არ შეიმჩნია გადმოვარდნა, ლუპას ხელს არ უშვებს და თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, გართულია დათვალიერებით და ცდილობს სიუჟეტის გაგრძელებას. ამის შემხედვარე, მივხვდით, რომ სცენა ჩაიშალა, არადა, დიალოგია გასაგრძელებელი. ოთარმა ქოჩორაძის სახეს რომ შეხედა, სიცილი ძლივს შეიკავა, – „მორჩა, მე აქ საქმე არა მაქვსო“, თქვა და ფხუკუნით გაიქცა სცენიდან.

– „რომულუს დაბრუნდი!“ – დავაწიე ხმა კულისებში მე, მაგრამ რათ გინდა, „მეფე“ უკვე გასული იყო. ახლა მეც საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, დიალოგს ვერ ვაგრძელებ, მეფე გასულია და აღარ ვიცი, რა ვქნა. ესლა მოვიფიქრე – „გავალ, მეფეს მივხედავ“-მეთქი და მეც გავედი სცენიდან.

ახლა კომეოიაჟერის ჯერი დადგა, რაღაცა იმასაც უნდა მოეფიქრებინა კულისებში გასასვლელად. მან დინჯად აათვალიერჩაათვალიერა ბიუსტი, იღლიაში ამოიდო, მიიხედ-მოიხედა, ალბათ, მარუქვსო, თქვა და წავიდა.

ამის შემდეგ დაეშვა ფარდა და სცენა დაბნელდა, მაგრამ სამივენი დიდხანს ვხარხარებდით კულისებში.

# ჯვარედი „საქართველო“




ჰორიზონტალურად: 7. ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრე თბილისში. ახლანდელი ბოტანიკური ბაღის მახლობლად; 8. ზოგიერთს იგი ორი ჰგონია, ზოგს – „ჰგონია“, არადა ერთია, ერთი; 9. გუბაზ II-ის ძმა, ეგრისის მეფე; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. სოფლები ქარელის, ყაზბეგისა და ჯავის რაიონებში; 15. საჰაკ ისმაილის ძე IX ს-ში იყო თბილისის...; 16. სიგრძის საზომი ერთეული. საქართველოში გავრცელდა ოსმალეთიდან; 17. ქართველი ჩოგბურთელი; 19. მთა აღმოსავლეთ საქართველოში; 21. 1625 წელს გამართული ბრძოლის ადგილი; 23. „ხმელი...“; 24. მუზეუმ-ნაკრძალი სამხრეთ საქართველოში; 28. ქართული ხალხური ეპოსის გმირი; 29. ქართლის დიდი მეფე XVI საუკუნეში; 30. მწერალ ალექსანდრე ჩოჩიას ფსევდონიმი; 33. დასავლეთში მცხოვრები იბერიელი, ანუ...; 34. გიორგი IV იმერთა მეფის მეტსახელი; 36. მდინარე ყაზბეგის რაიონში; 37. ბრაზილიური საფეხბურთო კლუბი, რომელთანაც ნათამაშევი აქვს თბილისის „დინამოს“; 39. ისტორიული პროვინცია ქვემო ქართლში. მისი ნაწილი ამჟამად აზერბაიჯანს ეკუთვნის; 40. საურმაგ I-ის მიერ აღმართული ღვთაება, კერპი წარმართულ საქართველოში; 41. ხევსურთა მთავარი სალოცავი.

ვერტიკალურად: 1. „ნატვრის ხის“ პერსონაჟი; 2. ამ ტიპის სამრეწველო საწარმოები საქართველოშიც საკმაოდაა; 3. უღელტეხილი კავკასიონზე. ერთხანს მთლიანად ჩვენ გვეკუთვნოდა; 4. ქართველების გამყოფი ველი კ/ფ „რაიკომის მდივნიდან“; 5. მონღოლი ყაენი, რომელმაც დავით VII ულუს სამცხე წაართვა; 6. ისტორიული ციხე-ქალაქი ეგრისის სამეფოში; 10. დავით VI ნარინის და; 11. აკაკის ლექსი; 13. აღმოსავლური მუსიკალური საკრავი. გავრცელებული იყო საქართველოშიც; 17. ქართველებით დასახლებული სოფელი ახალქალაქის რაიონში; 18. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1921-27 წლებში; 20. ქალის წამოსასხამი ძველ საქართველოში; 22. საეპისკოპოსო კათედრა ქართლში; 25. აბრაგი, ყაჩაღი გურიაში; 26. ფშაველთა მთავარი სალოცავი; 27. ეს სალოცავი კი მთიულეთშია; 31. ეკლესია თბილისის მახლობლად; 32. დაბა გურიაში; 34. თბილისის უბანი; 35. მდინარე გუდაუთის რაიონში; 38. სიგრძის საზომი ძველქართული ერთეული; 39. „ცისფერი მთების“ „პერსონაჟი“.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კაიფვორდის პასუხი

მწოლიარედ: 1. იკარუსი; 3. კედელი; 8. პომადა; 9. პიკნიკი; 12. შოშია; 13. ავარია; 14. არია; 16. ბრა; 17. ლიქიორი; 18. საშინელი; 19. იდეა; 21. საუნა; 25. მერცხალი; 26. საირმე; 28. უხა; 29. ჭარხალი; 30. ჩონგური; 31. ძალი; 32. მუცელი; 33. ისანი; 34. იგი.

მდგომიარედ: 2. კაკანათი; 4. ეშვი; 5. ლენა; 6. მადრიდი; 7. სამარა; 8. პარკეტი; 9. პირბადე; 10. კაპილარი; 11. გოგრა; 15. იაგუნდი; 20. საკაცე; 22. იადონი; 23. არაგვი; 24. სეირი; 25. ხარი; 27. ნათესური.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444